# საერთო გაზეთი

№27 (438) • 12 ივლისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი




## დავით მაღრაძე: ერთკაციანი, ნახევარკაციანი, უკაცო პარტიების ფონზე „ქართული ოცნება“ ერთადერთი პარტიაა, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესებს ემსახურება



როცა ადამიანს საყვედურობენ – შენ რატომ გაქვს ავტორიტეტი და მე რატომ არ მაქვსო. ივანიშვილს რას ემართლებიან, ჰკითხონ დედ-მამას, პედაგოგებს საკუთარ თავს. პასუხი საკუთარ პიროვნებაში და ბიოგრაფიაში ეძიონ



## სოსო მანჯავიძე: ინფორმაციული „ზაპოის“, კოლექტიური ჰალუცინაციების და ლიბერალური გამოთაყვანების შესახებ

„ივანიშვილი და კალაძე მართლა „მაფიოზები“ რომ იყვნენ, ნათელაშვილებს, ბუგაევებს, ელისაშვილებს კარგა ხნის წინ ექნებოდათ ყელზე კოლუმბიური ჰალსტუხი გამონასკვული“



## „დიდი ოცეულის“ შეხვედრები და დიდი არეულობა ჰამბურგში




## გიორგი ბაჯელიძე – კორუფციასთან მებრძოლი რაინდი თუ წვრილფეხა პროვოკატორი ნაცების „ანგელოზთა“ სახლიდან?

## ალექსანდრე კობაიძე: დამკითხეთ – „ელიავას ბაზრობაზე“ გაჩენილ ხანძართან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციებს ვფლობ...



## აღზევებული ასინეთები და „ნაცმოძრაობის“ მეხუთე კოლონა

**ნატო დოლიძე:** 200 მილიონი ევროს თაობაზე ინვესტორთან კონტაქტს ვაგრძელებ. ეს თანხა იპოთეკით დაზარალებულ და უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს მოხმარდება. მე რასაც ვამბობ, ყველა სიტყვაზე პასუხს ვაგებ.

# ორმაგი ჩიხი

**ვახტანგ ხარჩილავა:**

– გაეთრიონ რუსი ოკუპანტები აქედან! სულ მალე ნატოს ჯარები შემოვლენ აქ და საქართველოს დაიცავენ! – ჭექდა ლამის ეროვნულ გმირად შერაცხული ირაკლი და ჩვენ, ბედნიერი და აღტაცებული ქართველები, მხურვალე ტაშითა და ოვაციებით ვაჯილდოვებდით ორატორს.

ამ მრისხანე და ოპტიმისტური სიტყვების წარმოთქმის შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა, ირაკლი დაბერდა, დაბერდნენ მისი ტაშისდამკვრელებიც, მაგრამ ნატოს ჯარები ჯერჯერობით არსად ჩანან, სამაგიეროდ, ჩანან რუსები, რომლებიც ყოველდღე ისე გვიახლოვდებიან, სულ მალე ერთმანეთს ცხვირებს მივაბჯენთ.

არის რაღაც ტრაგიკომიკური იმაში, რაც დღეს ხდება – მიუხედავად იმისა, რომ უკვე წლებია, დაჟინებით ვიმეორებთ, რომ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში შევდივართ, მიუხედავად იმისა, რომ კარები ღიაა, ნატოში მაინც ვერა და ვერ შევდივართ.

ნატოში ვერ შევდივართ, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსები შემოდიან უფრო ღრმად და ღრმად, ღრმად და ღრმად...

რაც უფრო ხმამაღლა ვიძახოთ, რომ ნატოში სულ მალე გავწევრიანდებით, რუსები მით უფრო ღრმად და ღრმად შემოდიან საქართველოში.

არის რაღაც უცნაური და მისტიკური კავშირი ჩვენს ნატოში შესვლასა და რუსების საქართველოში შემოსვლას შორის, თუმცა ჩვენ ამ კავშირის დანახვა ჯიუტად არ გვინდა და მაინც ნატო, ნატოს გავყვირით და, როგორც ჩანს, მანამდე ვიყვირებთ, სანამ ეს რუსები მთელ საქართველოს არ დაიპყრობენ.

რა ვიფიქრო ახლა მე, რუსები იმათ შემოჰყავთ საქართველოში, ვინც ნატო, ნატოს გაიძახის?

ასე გამოდის, თუმცა შეიძლება სინამდვილეში სულ სხვა რამ ედოთ გულში, გულში კი ვის რა უდევს, ამას რა მნიშვნელობა აქვს – მთავარია შედეგი, შედეგი კი ის არის, რაც მოგახსენეთ.

ყველა უბედურებას აქვს თავისი გამომწვევი მიზეზები, იმ უბედურების მიზეზი, რაც დღეს ჩვენ გვჭირს, ის არის, რომ ცხონებულ სიდამონს არ დავუჯერეთ – რას შვრებით, ქართველებო, ვისაა, რომ უჯერებთ, ვისაა, რომ მიჰყვებით, მაგას მე მაღაზიაში არ ვუშვებ მარტოს პურის საყიდლად, თქვენ კი წინამძღოლად აგირჩევიათო, რომ გვეუბნებოდა.

რა თქმა უნდა, მამამ შვილის ამბავი ჩვენზე უკეთ იცოდა, მაგრამ ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, ერთხელ ვიღაცას რომ ავიკვიატებთ, ერთხელ ვიღაცას რომ ამოვიჩემებთ, ცხვრის ფარასავით დაბრმავებულ-დარეტიანებული მივდევთ უკან, სანამ ის ვიღაცა საყასბოში არ გვიკრავს თავს.

სამწუხაროდ და საუბედუროდ, ყასბის დანა რომ მოგვებჯინა ყელზე, მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ შეპირებული თავისუფლების ნაცვლად საყასბოში აღმოვჩნდით.

მივხვდითო, კი ვთქვი, მაგრამ მივხვდით კი? რა გვეტყობა ჩვენ საიმისო, რომ რაიმეს მივხვდით, რა გვეტყობა ჩვენ იმის, რომ ძველი შეცდომებიდან რაღაც დასკვნა გავაკეთეთ და ჭკუა ვისწავლეთ?

ჭკუაზე გამახსენდა და ბარემ აქვე ვიკითხავ – ისეთი რა სენი გვჭირს, რომ ჭკვიან და გონიერ ადამიანებს ეჭვის თვალით ვუყურებთ, უჭკუოებს, გიჟებს და სულელებს კი უყოყმანოდ და დაუეჭვებლად რომ ვუჯერებთ?

ბატონ სიდამონს არ დავუჯერეთ-მეთქი, ვთქვი ზემოთ.

სიდამონს კი არა, ილია ჭავჭავაძეს არ ვუჯერებდით ჩვენ და არც ახლა ვუჯერებთ, სამაგიეროდ, ვუჯერებთ მიშიკოს, გრიშიკოს, გივიკოს, თინიკოს, შალიკოს, ზალიკოს, პალიკოს, ვანიკოს და მერე გვიკვირს, რატომ ვართ ასეთ დღეში და რატომ ვისჯებით ასე?

●

ერთი მეგობარი მყავდა – ტანმორჩილი, გამხდარი ბიჭი იყო, მაგრამ გული ჰქონდა დიდი და ორ ჭიქას რომ დალევდა, მაინცდამაინც მასზე ორჯერ მაღალ და ზორბა ტიპებს გაექაჩებოდა, რაც, როგორც წესი, დრამატულად მთავრდებოდა ხოლმე, თუმცა ის მაინც არ იშლიდა მისთვის ფრიად საზიანო ამ ჩვევას და საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართულ ამ პროვოკაციას ჯიუტად აგრძელებდა.

საქართველომაც ხომ არ მოუწყო საკუთარ თავს დიდი პროვოკაცია, როცა საბჭოთა იმპერიის დაშლის პერიოდში რუსეთს დაუპირისპირდა?



რამდენად იყო გონივრული და წინდახედული ჩვენი იმდროინდელი მოქმედებები და ის რადიკალური ხასიათის განცხადებები, რაც ჩვენს ხალხმრავალ მიტინგებზე ისმოდა?

ამ განცხადებების უკან არ იდგა არავითარი რეალური ძალა, იყო მხოლოდ და მხოლოდ შიშველი ემოციები.

რაც მაშინ, გასული საუკუნის 80–90-იან წლებში ხდებოდა, ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა რომანტიკულ-ჰეროიკული პათეტიკით გაჟღენთილ თეატრალურ წარმოდგენას, სადაც ვიღაცები გმირების როლებს თამაშობდნენ და მაყურებლებს არწმუნებდნენ, რომ სწორედ ისინი იყვნენ საქართველოს მხსნელები და განმათავისუფლებლები, რომლებიც შლიდნენ და ანგრევდნენ საბჭოთა იმპერიას.

– არა მარტო საბჭოთა კავშირი დავშალეთ ჩვენ, არამედ გავათავისუფლეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები! – „თავმდაბლად“ განაცხადა ერთმა იმდროინდელმა „გმირმა“ ერთ-ერთ მიტინგზე და მიტინგის მონაწილე ათიათასობით ქართველი ყიჟინით და ოვაციებით შეეგება მის სიტყვებს,

ამ ათიათასობით ქართველსაც გულწრფელად სჯეროდა, რომ საბჭოთა იმპერია მართლა ჩვენ, ქართველებმა, დავანგრიეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც ჩვენ, ქართველებმა, გავათავისუფლეთ.

აი, ასეთი და ამნაირი შინაარსის იყო ის სპექტაკლი, რომელიც, დღემდე არავინ იცის, ვინ დაგვიდგა და არც ის ვიცით, ვინ ცვლიდა გზადაგზა ამ სპექტაკლის დრამატურგიას, ვის გაჰყავდა და ვის შემოჰყავდა ახალი პერსონაჟები სცენაზე, ვინ წერდა ახალ ტექსტს და ვისი ნახელავი იყო ეს ახალ-ახალი დეკორაციები.

ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სპექტაკლის მთავარი გმირები და, პარალელურად, მაყურებლებიც, ერთმანეთს დაერივნენ და რუსეთის ნაცვლად საკუთარი სამშობლო დალეწეს და დაამარცხეს.

●

როგორც ვთქვით, ნატოში ვერა და ვერ შევდივართ, სამაგიეროდ, რუსები უფრო ღრმად და ღრმად შემოდიან საქართველოში.

საქმეს ვერ შველის ჩვენი დასავლელი პერტნიორების შეშფოთება-აღშფოთება, რუსები ჯიუტად მოიწევენ წინ, რითაც ხაზგასმით აჩვენებენ, რომ, როგორც ჩვენ, ისე ჩვენი ძლევამოსილი პარტნიორებიც სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ.

– ეკონომიკური სანქციები მაინც დაუწესეთ ამ ოხრებს, სანამ მთავარი მაგისტრალიც არ გადაუკეტავთ და ზედ მავთულხლართები არ გაუვლიათ,– მოუწოდებენ დასავლეთელ პარტნიორებს ჩვენი „პატრიოტი“ არასამთავრობოები.

ამ პატივცემულმა ორგანიზაციებმა, ალბათ, არ იციან, რომ ქართულ ეკონომიკაში რუსული კაპიტალი ძალიან ფართოდ და მასშტაბურად არის წარმოდგენილი და შესაძლოა, ეს სანქციები ბუმერანგივით მოგვიბრუნდეს უკან.

რუსები შემოდიანო, ბევრჯერ ვთქვი ეს ორი სიტყვა ამ წერილში, თუმცა, სინამდვილეში, რუსები კი არ შემოდიან, უკვე შემოსული არიან საქართველოში.

ერთი კარგად მიმოვიხედოთ გარშემო და დავინახავთ, რომ რუსებს ოთხივე კუთხიდან გამოთოფილები ვართ.

ალყაში ვართ ჩვენ, ბიძიკოებო, ალყაში და აქედან ჩვენს დახსნას და გათავისუფლებას არც არავინ აპირებს და რომც დააპიროს, ამას ისეთი კატასტროფული შედეგები მოჰყვება საქართველოსთვის, ქვა ქვაზე არ დარჩება.

აბა, რა ვქნათ?

გულწრფელად გეტყვით, ნამდვილად არ ვიცი!

მე რომ არ ვიცი, ეგ არაფერი, მაგრამ საქართველოში ბევრიც რომ არ მეგულება ისეთი, ვისაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლია, აი, ეგ არის უბედურება.

ოცდაათი წლის წინათ მეც, ბატონმა სიდამონმაც და კიდევ ძალიან ბევრმა, ზუსტად ვიცოდით, რას რა მოჰყვებოდა და როგორ საბედისწეროდ განვითარდებოდა მოვლენები ჩვენი ქვეყნისთვის.

ვიცოდით და ხმამაღლა ვამბობდით, ვწერდით, ვიხვეწებოდით, მაგრამ არავის ესმოდა ჩვენი ნათქვამი.

ახლა ჩიხში ვართ,– წინ ვერ წახვალ და ვერც უკან გამობრუნდები, რადგან უკანაც ყრუ კედელია ამოშენებული.

ორმაგ ჩიხში ვყოფილვართ...

ვყოფილვართ და ვიყოთ, რა გაეწყობა...




„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ინფორმაციული „ზაპოის“, კოლექტიური ჰალუცინაციების და ლიბერალური გამოთაყვანების შესახებ



## „ივანიშვილი და კალაძე მართლა „მაფიოზები“ რომ იყვნენ, ნათელაშვილებს, გუგავებს, ელისაშვილებს კარგა ხნის წინ ექნებოდათ ყელზე კოლუმბიური ჰალსტუხი გამონასკვული“

*გვესაუბრება თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ბატონი სოსო მანჯავიძე.*

**— ბატონო სოსო, არჩევნები ახლოვდება. საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელ პოსტებზე ოპოზიციამ ისეთი კანდიდატურები წამოაყენა, რომ თბილისელებს არჩევანის გაკეთება „ქართული ოცნების“ კანდიდატთან შედარე-**



**ბით, ალბათ, არ გაუჭირდებათ. თქვენ რას ფიქრობთ. მისცემენ ხმას უდუმაშვილს და ხოშტარიას თბილისელები?**

— ახლახან ტელევიზიით ვუყურებდი ლეიბორისტი გუგავას გამოსვლას, მანამდე ელისაშვილი გამოვიდა მისთვის ჩვეული კალამბურებით. გუგავა უშვერი სიტყვებით ლანძღავდა ივანიშვილს, კალაძეს და მაფიოზებს უწოდებდა მათ. გუგავა იმდენად „გულმოდგინე“ იყო, თვით ელისაშვილიც კი დაჩრდილა კალაძე-ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ლანძღვით. არაერთხელ გამოვსულვარ კრიტიკით და საყვედურებიც ბევრი მითქვამს ხელსუფლების მისამართით, მაგრამ ამათი თავხედობა ყოველგვარს ზღვარს აჭარბებს.

ისე, მართლა მაფიოზები რომ იყვნენ კალაძე და ივანიშვილი, ესენი დიდი ხნის წინ ეყოლებოდა ვინმეს კოლუმბიური ჰალსტუხით გასაღებული, ამდენ შეურაცხყოფას არც ერთი „მაფიოზი“ არ მოითმენს.

ამას ვერ ხვდება ვერც ხელისუფლებაზე გაბოროტებული „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები და ვერც ელისაშვილი და გუგავა...

არის ბუნებაში მტაცებელი-ოპორტუნისტი მხეცები, ისეთები, როგორებიცაა, მაგალითად, აფთარი, ტურა, სვავი, რა დაცემული უნდა იყო ადამიანი, მათი ქცევის მიბაძვაში გაატარო მთელი ცხოვრება. სიხარულს ვერ მალავენ და აფთარივით ამაზრზენ ხმებს გამოსცემენ, თუ რაიმე „საკბილო“ ნახეს. ყაშყაშებენ, როგორც სვავები და კივიან, როგორც ტურები.

ყველამ დავინახეთ, რა გააფთრებულ-გახარებულები მივარდნენ ელიავას ბაზრობაზე, ან რა საძაგლად იქცეოდნენ, როცა ხიდი დაზიანდა. რომელი ერთი ჩამოვთვალო. როგორ შეიძლება ამათ ვინმემ ხმა მისცეს?!

თან „ჰამქარი“ კნინობით-ალერსობით ფორმით მიმართავს თავიანთ „ყოჩებს“-„ზალო“, ან „ზალიკო”, „ალიკო” და ა. შ. თითქოს ძალიან საყვარლები იყვნენ... ადამიანების ამაზე მეტი დაცემა ჩემს თვალებს არ უნახავს...

რაც შეეხება უდუმაშვილს, ნეტა იმ ხალხის ტვინში ჩამახედა, ვისაც ეს ადამიანი, რომელსაც „რუსთავი2“-დან მოსახლეობის მოტყუების გარდა არაფერი გაუკეთებია, თბილისის მერად წარმოუდგენია.

შეიძლება არ მოგწონდეს კახი კალაძე, შეიძლება, გძულდეს ხელისუფლება, მაგრამ ამის გამო უდუმაშვილს მისცე ხმა, ეს უკვე დიაგნოზია და არა არჩევანი.

**— ეს ის ხალხია, ბატონო სოსო, რუსეთს და რუსებს რომ წყევლის დღე და ღამე და შავ სანთლებს რომ უნთებს ვლადიმირ პუტინს, თითქოს მიშას არ წამოეწყოს ავანტურა აგვისტოს ომის დროს ცხინვალში.**

**ახლა „ქართველთა მარშს“ რუსეთს აბრალებენ...**

— სასაცილოა, ზოგიერთის მიერ გამოთქმული პოზიცია, რომ ამ მარშის უკან რუსეთი დგას.

რუსეთს შეუძლია არსებული, გამწვავებული პრობლემის გამოყენება. პრობლემა კი სახეზეა. ამიტომ რუსეთისკენ ხელის გაშვერას სჯობს ამ პრობლემის მოგვარებაზე ვიზრუნოთ, საქართველოს ინტერესების შესაბამისი კანონები მივიღოთ და მათი ადმინისტრირება უზრუნველვყოთ.

მარში სწორედ იმიტომ ტარდება, რომ ქართველი ხალხი ცდილობს საკუთარ ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობად არ იქცეს.

რაც შეეხება მსგავს გამოსვლებს, ახლა რომ ამბობენ, ფაშისტებს დაგვიძახებენ, ასეო და ისეო, ასეთი გამოსვლები ბევრი ჩატარებულა ევროპაში და ამის გამო არც ერთი ერისთვის ფაშისტები და პუტინის მიერ მართულები არ დაურქმევიათ.

არც პოლონეთის, სლოვაკეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, ბალტიისპირეთის ლიდერებს დაუხევიათ უკან, როდესაც ბრიუსელი სანქციებით დამუქრებია მიგრანტთა მიღებაზე უარის თქმის გამო.

ეთნიკურ-რელიგიური სურათის მიზანმიმართული აღრევა, რაზეც ღიად საუბრობენ ევროპაში, ქაოსისა და ომების გარდა არაფერს მოიტანს და ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ ეს პროცესი.

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს მწარე გამოცდილება, ამ დანაღმულ ველზე არ ავფეთქდეთ და, რაც მთავარია, კვლავ ერთმანეთთან დაპირისპირებაში არ გადავზარდოთ ყველაფერი.

პათოლოგიური რუსოფობია დაღუპავს ჩვენს ქვეყანას. ამ გაუც-



ნობიერებელი აგრესიით, ქვეყანა მართლაც დიდ საგიჟეთს დაემსგავსა.

სიგიჟეების და გიჟების ტირაჟირებას ელექტრონული და ბეჭდური მედია ყოველდღიურად აძლიერებს. ამდენი და ასეთი ასორტიმენტის თუ გვყავდნენ, თან ასე ბოლქვა-ბოლქვად თუ აფრენდნენ, გამოვტყდები და ვერ წარმომედგინა.

ერთ კარგ შემოლაწუნებას ვითხოვთ და რასაც ვითხოვთ, მოგვეცემა, როგორც ჩანს...

ტელევიზიები ერთმანეთს ეჯიბრებიან რუსეთის ლანძღვაში, თითქოს ამაში ყველას ჯილდოს აძლევდნენ.

არადა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ იაპონიაში ტელედებატებისას, ერთმა იაპონელმა პოლიტიკოსმა მეორეს უთხრას: თუ ნამდვილი სამურაი ხარ, დაანებე მიგრაციაზე ლაპარაკს თავი, წადი და კურილიის კუნძულების ოკუპაცია გაუპროტესტე რუსებსო.

ან მიგრანტების უკონტროლო შემოდინების მოწინააღმდეგე გერმანელს პუტინის აგენტობა რომ დასწამოს ვინმემ და კენიგსბერგის ოკუპაციის გაპროტესტებისკენ მოუწოდოს. ან კიდევ ფინელს, რომელიც ფინეთში მიგრანტების მოძალებაზე ჩივის, ფაშისტი უწოდონ და ფინელობის დასამტკიცებლად რუსებთან ომისკენ გაამწესოს კარელიის დასაბრუნებლად.

ხომ წარმოუდგენელია?

ისევე, როგორც ვერავინ დაუშვებდა იმ აზრის გაჟღერებასაც კი, რომ იაპონიას ძალისმიერი გზით დაებრუნებინა კურილიის კუნძულები. გერმანელებს კენიგსბერგი, ფინელებს კარელია, პოლონელებს – ლვოვი, და ა.შ.

თუმცა ეს არ ეხება მხოლოდ რუსეთს.

ასეთი ტიპის პრეტენზიები უამრავია.

მაგალითად, ინგლისის მიმართ ბევრი ტერიტორიული პრეტენზია არსებობს, ისევე როგორც აშშ-ს, ჩინეთის თუ ინდოეთის მიმართ.

უახლეს ისტორიაში ორი ეპიზოდი მახსენდება, როცა სუსტმა ქვეყნებმა ტერიტორიული საკითხის მოგვარება სამხედრო ძალის გამოყენებით გადაწყვიტეს. ერთი არგენტინამ, როცა ფოლკლენდის კუნძულები დაიკავა და რასაც მოჰყვა ომი და საშინელი დამარცხება ინგლისთან.

მეორე – სააკაშვილის ავანტურა ცხინვალში, იგივე შედეგით.

თუმცა მასშტაბით ჩვენი და არგენტინის შედარებაც არ შეიძლება და თუ ფოლკლენდის კუნძულები ინგლისიდან 10.000 კილომეტრშია, ცხინვალში შემოსასვლელად რუსებს რამდენიმე საათი დასჭირდათ.

ეს ყველაფერი იმ სისულელეების მოსმენისას მახსენდება, ჩვენს ეთერებში რომ ხშირად ისმის.

ზოგი გაიძახის: თოფი ავიღოთ და ვილაშქროთო, ზოგიც ფრჩხილებით ყელის გამოღადვრით ემუქრება რუსებს.

ბანერების მოპარვა ხომ პირდაპირ ომის მოგებად ცხადდება.

ცირკია, მოკლედ..

ვერაფრით გადაეჩვია ეს ხალხი მასხარაობას და საკუთარი ემოციებით და “ჯიგრით” ყალბ ვაჭრობას.

ერთი მეგობარი მყავს. მთელი ცხოვრება გართობაში, დალევაში და „კაიფში“ გაატარა.

ერთხელაც გადააბა სმა, თავს ვერ ანებებს. მამამისმა – გოგირდებში წაგიყვან, ქისა გიშველისო.

5 გვ. →



# ერთკაციანი, ნახევარკაციანი, უკაცო პარტიების ფონზე „ქართული ოცნება“ ერთადერთი პარტიაა, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესებს ემსახურება

## როცა ადამიანს საყვედურობენ – შენ რატომ გაქვს ავტორიტეტი და მე რატომ არ მაქვსო. ივანიშვილს რას ემართლებიან, ჰკითხონ დედ-მამას, პედაგოგებს საკუთარ თავს. პასუხი საკუთარ პიროვნებაში და ბიოგრაფიაში ეძიონ



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოეტი დავით მაღრაძე:*

**— დათო, ახლახან, უნგრეთიდან დაბრუნდით, სადაც თქვენი წიგნის პრეზენტაცია შედგა. საერთაშორისო მიღწევებზე საზოგადოებამ ცოტა რამ თუ იცის, ალბათ, უფრო პოპულარული იქნებოდით მერობის კანდიდატად რომ გეყარათ კენჭი. ეს რით აიხსნება?**

— ზოგადად, საზოგადოება, ყველა ქვეყანაში, სკანდალისკენ, სენსაციისკენ არის მიდრეკილი და არა შინაარსისკენ, ეს მხოლოდ ქართულ საზოგადოებას არ ეხება. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ უნგრეთში ჩემი წიგნის გამოსვლაზე არაფერი თქმულა – „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებაში ძალიან კარგი სიუჟეტი გავიდა. წიგნის – „ჯაკომო პონტის“ პრეზენტაცია ფრანგულ გამომცემლობა „L Harmattan“-ის საკონფერენციო დარბაზში შედგა. წიგნი უნგრელმა პოეტმა ჰაინალკა ბაბირაკმა თარგმნა, რომელიც ამავდროულად, ქართული კულტურის პოპულარიზატორია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „ჯაკომო პონტის“ გამოსვლას წინ უძღოდა ერთ-ერთ ცნობილ ლიტერატურულ ჟურნალ „ნეპუტში“ რამდენიმე თავის დაბეჭდვა. აქვე, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენს საელჩოს უნგრეთში და მის ელჩს ზაზა კანდელაკს. ჩემი თავგადასავალისა და „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებასთან ურთიერთობების გამო საელჩოების ყურადღებით განებივრებული არ ვარ. ძირითადად, ასეთი შემთხვევები მახსოვს: ჩვენი ქვეყნის ელჩი თუ უცხოეთში სადმე გადამეყრებოდა, საუკეთესო შემთხვევაში სხვა მხარეს იხედებოდა. არც მე ვიკლავდი მათი მოწვევით თავს. ეს იგნორი არ ეხება ჩემს მეგობრებს, იმ პერიოდში ელჩებს – ზაზა გოგსაძეს, მაია ფანჯიკიძეს და ქეთევან ბატონიშვილს, რომელთაც ჩემი წიგნების წარდგენის ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

რაც შეეხება თქვენს კითხვას: არჩევნებში კენჭი რომ მეყარა ბევრად უფრო ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდებოდი, ვიდრე უცხოური გამოცემების ან სამშობლოში გამოცემული წიგნების ფონზე, ეს ბუნებრივია. საერთოდ ეპოქაც ასეთია, ყოველდღიური ყოფა იმდენად დაძაბულია, რომ ხალხი სულიერებისთვის ვერ იცლის. ბევრი შრომა და ბრძოლაა საჭირო, რათა ქვეყანა ეკონომიურად გაძლიერდეს და სულიერებისთვის მეტად მოვიცალოთ.

**— რადგან ადგილობრივი არჩევნები ვახსენეთ, როგორ შეაფასებთ მმართველი გუნდის კანდიდატს კახი კალაძეს?**



— დედაქალაქის მერის არჩევნებში, კახი კალაძის სახით, „ქართულ ოცნებას“ ძალიან ღირსეული კანდიდატი ჰყავს, რაც მახარებს. ახლო წარსულს გავიხსენებ: კახი ლეგენდარული, ტიტულოვანი ფეხბურთელია. ბუნებრივია, წინა ხელისუფლებას სურდა, მისი სახით, მხარდამჭერი ჰყოლოდა. კახიმ ამ ფიანდაზით დაფენილ ბილიკზე არ გაიარა, საკუთარი ზნეობრივი პრინციპი უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე ხელისუფლებასთან სიამტკბილობა. თანაც, კონფრონტაციაზე ისეთ აგრესიულ ხელისუფლებასთან წავიდა, როგორიც ეს 9 წლიანი რეჟიმი იყო და საპასუხოდ გირგვლიანის თემა წამოსწია. ანუ, მასსა და ხელისუფლებას შორის სანგარი გაავლო, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ასეთი სულიერი მაგალითები საზოგადოებას წრთვნის უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს. მეორე მაგალითსაც გავიხსენებ: როცა მის მეგობარს გიორგი დემეტრაძეს გაუჭირდა, საფეხბურთო სამყარო კი სამარცხვინოდ დუმდა, უფრო მეტიც, ხელისუფლების მიმართ მაამებლური რეპლიკები ისმოდა, კალაძემ მეგობრობის ტვირთი მარტო ატარა. იგი, არაჩვეულებრივი პარტნიორი იქნება იმდენად რამდენადაც მან მეგობრობის ფასი იცის, ხოლო ვინც ეს არ იცის, იგი, მოქალაქეობრივ ცხოვრებასაც ვერ გასწევს. მას ნიჭიერება და ალღო აქვს. ნიჭიერი კაცი ყველგან ნიჭიერია. კახი კალაძეს თავისი ცხოვრების გზაზე ბევრი გამარჯვება უზეიმია და დარწმუნებული ვარ მერის არჩევნებში ახალ გამარჯვებას იზეიმებს.

**— დათო, ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის განცხადებით, კონსტიტუციურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, „ქართული ოცნება“ მარტო დარჩა. როგორია თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე?**

— პოლიტიკურ ოპოზიციურ სპექტრს სურს ისეთი სურათი დახატოს, თითქოს ისინი ბევრნი და ერთ აზრზე არიან, ხოლო „ქართული ოცნება“ მარტო დარჩა. რას ნიშნავს მარტოდ დარჩენილი პარტია? – ჩემი აზრით, მარტოდ დარჩენილი პარტია ამომრჩევლის გარეშე დარჩენილ პარტიას ეწოდება. ანუ, ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი, თითქმის უკლებლივ, მარტოდ არის დარჩენილი. „ქართული ოცნება“ ერთადერთია, რომელსაც მოსახლეობის მხარდაჭერა აქვს, ხოლო ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი სრულ მარტოობაშია, რადგან მათ მოსახლეობასთან, ამომრჩეველთან კავშირი არ აქვთ და შედეგად, კავშირს ერთმანეთთან ეძებენ. სხვათა შორის, სახელოვნებო სამყაროშიც ასეა – როდესაც ხელოვანს მკითხველთან, მსმენელთან, მაყურებელთან და ა.შ. კავშირი არ აქვს, ასეთი ხელოვანები ერთურთს ეტმასნებიან, რათა ერთმანეთს გააძლებინონ და თავიანთი უსუსური ყოფა გაუადვილონ. „ქართული ოცნება“, როგორც აღვნიშნე, ერთადერთი პოლიტიკური პარტიაა, რომელსაც კავშირი აქვს საქართველოს მოსახლეობასთან, ქართველ ხალხთან. ეს გამოიხატა საკონსტიტუციო ცვლილებებშიც, რაც ჩემი აზრით, ძალიან მართებული და დროული იყო. ვინაიდან, ყოფილმა პრეზიდენტმა საქართველოს კონსტიტუცია თავის სამკერვალოში წაიღო, დაიქირავა კუტურიეები და თავის კოხტა ტანზე მოირგო. ხან სახელო მოსდიოდა მოკლე და კუტურიეები უგრძელებდნენ, ხან შარვლის ტოტი ჰქონდა გრძელი და უმოკლებდნენ, ერთი სიტყვით, საქართველოს კონსტიტუცია მის ვნებებს მოარგეს.

**— საკონსტიტუციო ცვლილებებზე ვსაუბრობთ და საინტერესოა, როგორ შეაფასებთ ამასთან დაკავშირებით ბუკიკიოს განცხადებას?**

— ბატონი ბუკიკიო ვენეციის კომისიას 2009 წლიდან ხელმძღვანელობს. მან დადებითი დასკვნა დაწერა საქართველოს კონსტიტუციის ერთ კაცზე მორგებაზე. მაშინ არ მახსოვს მისი მხრიდან ან იმედგაცრუება, ან გულდაწყვეტა, ან მკაფიო შენიშვნები. თუ მასში ახლანდელი ცვლილებები რაღაც ნიშნით იმედგაცრუებას იწვევს, მაშინ 2009 წელს მის მიერ მოწონებული კონსტიტუცია დარჩეს ძალაში და დამერწმუნეთ, უფრო დიდ საჩუქარს ხელისუფლებას, მმართველობის გახანგრძლივების კუთხით, ვერავინ გაუკეთებს. უბრალოდ, ამ შემთხვევაში, ხელისუფლებამ მოსახლეობაზე იფიქრა და არა საკუთარი თავის ხელისუფლებაში გახანგრძლივებაზე და გადაწყვეტილებებიც სწორედ მოსახლეობის სასარგებლოდ მიიღო. როდესაც პროპორციულ და მაჟორიტარულ სისტემაზე ვსაუბრობთ, ვენეციის კომისიის თავმჯდომარის აზრით, თუ მაჟორიტარული წესი საერთოდ ანაქრონიზმია და ერთადერთი პროგრესი და ცივილურობა პროპორციული სისტემაა, ამ ლოგიკით, მაშინ ყველაზე ღრმა კრიზისში აშშ იმყოფება. იქ მაჟორიტარული არჩევნები არავის გაუუქმებია. ბრიტანეთი კი, მაჟორიტარული არჩევნების გამო, საერთოდ პოლიტიკურ ჩიხში ყოფილა შესული. აი, ასეთ აბსურდულ, ათმაგ სტანდარტებთან გვაქვს საქმე, როცა ასეთ საპასუხიმგებლო პიედესტალიდან ისეთი უპასუხისმგებლო განცხადებები ისმის, რაც ბუკიკიომ გააკეთა. თუმცა, მერე, მან თავისი განმარტებები გამოასწორა და განაცხადა: საქართველოს კონსტიტუციურ ცვლილებებს იმედიანად ვუყურებო.

**— საკონსტიტუციო ცვლილებები კიდევ ორ ძირითად საკითხს – ოჯახს და მიწის თემას შეეხო, რაც საქართველოს მოსახლეობისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.**

— დიახ. ამიტომაც ვამბობ, რომ განსხვავებით ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრისგან, რომელთაც მარტო ერთმანეთთან აქვთ კავშირი, „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობასთან აქვს კავშირი. ვფიქრობ, როცა ძლიერნი ამა ქვეყნისანი აცხადებენ, რომ მათ სხვადასხვა ქვეყნების კულტურები, ტრადიციები არ აინტერესებთ და ვინც ერთსქესიანთა ქორწინების კანონს არ მიიღებს, იგი ველურია, ამ განცხადებების ფონზე საქართველოს ხელისუფლების მიერ კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებამ, სადაც წერია, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ქორწინება არის, ეს გმირობაა. ეს თანხვედრაშია საქართველოს მოსახლეობის ფიქრთან, განცდასთან და გულისთქმასთან. საქართველოს ხელისუფლებამ გიორგი კვირიკაშვილის მეთაურობით დაგვანახა, რომ იგი ქართული კულტურის ისტორიის, წინაპრების ხსოვნის, „ვეფხისტყაოსანის“, „დავითიანის“, „შუშანიკის წამების“, სოლომონ დოდაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, ილიას იდეალებისა და პრინციპების ერთგულია. ეს ტენდენცია რაც ახლა არის – ერთსქესიანთა ქორწინებების ბუმი, მინდა ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, ნაკარნახევი ტენდენციაა, მერე, მოდურად ქცეული, რომელსაც მასმედია ექვემდებარება, მაგრამ ეს არის პოლიტიკური კონიუნქტურა, რომელიც აუცილებლად ჩაივლის. იგივე, აშშ-ს არჩევნებმაც აჩვენა, რომ ეს კონიუნქტურა ჩაივლის. ქართული სახელმწიფო პირნათელი დარჩება დროისა და სივრცის წინაშე. აშშ-ში საკუთარი კულტურის პატივისმცემელი ხალხი გამოვიდა და გააკეთა არჩევანი, რაც პოლიტიკურ კონიუნქტურაზე უარის თქმას ნიშნავდა, რომელსაც სამყაროს მედიის 2/3 ემსახურებოდა. რაც შეეხება ჩვენს საზოგადოებას – როდესაც პერიფერია ასეთ ტენდენციას აჰყვება, მასში იქმნება ილუზია, რომ იგიც განვითარებული სამყაროს ნაწილი ხდება. ეს ილუზია უჩნდება ჩვენი საზოგადოების პერიფერიულ ნაწილს, რომ იგი განვითარებული ცივილური სამყაროს განუყოფელი ნაწილი არის. საზოგადოების მცირე ნაწილს მიაჩნია, რომ ხელისუფლება უმოქმედოა თუ ის მას ცოცხით არ მისდევს და თვლიან, რომ ქვეყანაში არაფერი ხდება. ეს ხალხი სამშობლოდან იმდენ რამეს და ისეთ დაფასებას ელის, თითქოს, ქვეყნის აღმშენებლობაში დიმიტრი ყიფიანის ან სოლომონ დოდაშვილის ღვაწლი ჩაედოთ. პერიფერიული ნაწილისთვის უფრო გემრიელი საკვები არ არსებობს, ვიდრე ეს ილუზია. ილუზია ილუზიად დარჩება, ეს ტენდენციაც ჩაივლის, დედას დედა ერქმევა და მამას მამა. სადღაც, რომელიღაც ოჯახში დასადგურებული გაუგებრობა ვერ წაართმევს დანარჩენ სამყაროს იმ უფლებას, რომ მათ დედ-მამა ჰყავდეთ და არა მშობელი №1 და მშობელი №2. დედა-შვილობა, მამა-შვილობა მარადიული ცნებებია. საქართველო დარჩა ამ მარადიული ღირებულებების ერთგული, რაც საკონსტიტუციო ცვლილებებმაც აჩვენა. ეს იყო კიდევ ერთი დემონსტრირება იმისა რომ „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობასთან აქვს კავშირი. ასევეა, მიწის კანონთან დაკავშირებითაც. მიწის კანონი ეს არის ნიშანი იმისა, რომ მამული არ იყიდება! „ქართული ოცნება“ იდენტობის, ნაციონალური ცნობიერების გადარჩენის გამო ძალიან საფუძვლიან რისკზე წავიდა – ამ

სამყაროში ნიაღვარივით მოვარდნილ ტენდენციას მხარი არ აუბა და მარადიული ღირებულებების ერთგული დარჩა. მინდა „საერთო გაზეთის“ მკითხველს, ვისთვისაც ჩვენი სიტყვა რაიმეს ნიშნავს, ხმა მივაწვდინო – ევროპა არ არის მხოლოდ ეს პოლიტიკური კონიუნქტურა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში ერთსქესიანთა ქორწინებებს ნერგავს. ევროპა უფრო ის პროტესტია, რომელმაც მილიონობით ადამიანი პარიზის, იტალიისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქების ქუჩებში გამოიყვანა. აი, იქ, გადარჩება ევროპა. ევროპას აქვს გადარჩენის არაჩვეულებრივი იმუნიტეტი მიუხედავად იმისა, როგორი ძნელი ეპოქაც არ უნდა დადგეს. რომის იმპერია დაეცა, მაგრამ ევროპა გადარჩა, მუდამ შესწევს უნარი მარადიულ ღირებულებებს დაუბრუნდეს და კიდევ დაუბრუნდება. საზოგადოებას ევროპის მიმართ სწრაფვა არ უნდა გაუნელდეს.

— **როგორ გაარჩიოს დაბნეულმა საზოგადოებამ სად არის რეალური ევროპა?**

— მარტივ რამეს გეტყვით: ვენეციის კომისიის თავმჯდომარე არის ბუკიკიო, ხომ? მაგრამ ვენეცია ხომ ბუკიკიო არ არის. ვენეცია არის ტიციანი, ვერონეზე, ვეროქიო, ჯაკომო კაზანოვა, ტინტორენტო, თომას მანი, ლუკინო ვისკონტი, ბროცკი. ასეთივე განსხვავებაა ევროპასა და ევროპარლამენტს შორის, როგორიც ბუკიკიოსა და ვენეციას შორის. ბატონ ბუკიკიოს თავის გზა აქვს, რა დავალებებს მიიღებს და რა უნდა გაახმოვანოს, ეს მისი გადასაწყვეტია. საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორიის ძალიან დიდი გზა აქვს გამოვლილი, ჩემი ღრმა რწმენით, ეს უსასრულოდ გაგრძელდება. ევროპა დაბრუნდება მარადიულ ღირებულებებთან და მოდური ტენდენცია გადაივლის. დღეს, კრიზისში შევიდა პოლიტიკური კონიუნქტურა იმიტომ, რომ მარადიულ ღირებულებებს დაუპირისპირდა. თუმცა, ევროპა ყოველთვის როგორი ძნელი სულიერი ორომტრიალიც არ უნდა დაუდგეს, მაინც პოულობს გამოსავალს და საკუთარ სახეს ინარჩუნებს და გადაირჩენს. ასეთი სულიერი სამყარო რაც ევროპამ შექმნა, იშვიათია.

— **დათო, წეღან აღნიშნეთ, პოლიტიკურ კონიუნქტურას სამყაროს მედიის 2/3 ემსახურებაო. ამ კუთხით პრობლემები საქართველოშიც არის. გამოსავალი რაშია?**

— ეს ყოველთვის ასეა, ნუღარ ვაქცევთ ყურადღებას. საქართველოში წამყვანები უკვე ხმის ტემბრზე ვარჯიშობენ. მოსახლეობას იმდენად აღარ ესმით მათი და იმ „თოქ-შოუების“ რასაც აკეთებენ, რომ სხვა გზა აღარ დარჩათ და ახლა, ვოკალში ვარჯიშობენ იმიტომ, რომ კონსერვატორიასთან რიგი დადგეს. ხვალინდელი წამყვანი უნდა იყოს მეცო-სოპრანო, რათა უკეთ გააგონოს.



ეს ყველაფერი უაზროა, უსუსური შინაარსისგან გამოცლილი არაფრისმომტანი დისპუტები გახუნდა. აქვე, საკონსტიტუციო ცვლილების კიდევ ერთ ნაწილზე მოგახსენებთ ჩემს მოსაზრებას, კერძოდ პრეზიდენტის არჩევაზე. პრეზიდენტის ინსტიტუტი არ უნდა იყოს პირდაპირი წესით არჩეული. რადგან საპარლამენტო მოწყობის რესპუბლიკაზე გადავდივართ, პრეზიდენტის იურიდიული უფლებამოსილება უნდა შესუსტდეს და წინ მისი მორალური ავტორიტეტი წამოვიდეს.

— **სხვათა შორის, რადგან მედიის პრობლემებს შევეხეთ, პრესაშიც უცნაური ტენდენცია შეინიშნება: თითქმის ყველა გაზეთი ხელისუფლებას ლანძღავს...**

— მერე რა, „ქართული ოცნება“ ისევ რჩება, ამით კიდევ უფრო მცირდება იმ გაზეთის ტირაჟი და იზრდება მათი ავტორიტეტი, ვისაც ისინი ლანძღავენ. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ისევ არიან ერთკაციანი, კაცნახევრიანი, უკაცო, ზოგი თავმჯდომარეც თვითონ არის, ყრილობას ატარებს, მერე პარტერშიც თვითონ ზის, სცენაზეც თვითონ დგას, ტაშსაც თვითონ უკრავს და ამით, რა? – არაფერი. ამომრჩევლის გარეშე დარჩენილნი სრულ მარტოობაში არიან.

— **ბოლოს, ბატონ ბიძინა ივანიშვილზეც მინდა გკითხოთ. ატასგვარი ხმები ვრცელდება – ხან ავად არისო, ხან მიატოვა თავისი გუნდი და აღარ ერევა პოლიტიკაშიო. ეს დაბოღმილი ადამიანების ენის ფხანაა თუ რა ხდება?**

— დიახ, ათასნაირი ჭორი ვრცელდება – ხან ავად არისო, ხან კარგად არისო, ხან პოლიტიკაში ერევა, ხან – არაო. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი რომ შევკრიბოთ, გამოვიტანთ დასკვნას თუ რა აღიზიანებთ ჭორების გამავრცელებლებს. საზოგადოების მცირე, უამომრჩევლო ნაწილი, რომელთაც მოსახლეობასთან არა და ერთმანეთთან აქვთ კავშირი აღშფოთებულია იმით, თუ რატომ აქვს ივანიშვილს საქართველოში ასეთი დიდი გავლენა. დიახ, ვაღიარებ, რომ ივანიშვილი საქართველოში უდიდესი გავლენით სარგებლობს, რომელიც მისი პიროვნების ავტორიტეტითაა განპირობებული. პიროვნების ავტორიტეტი, ზოგადად, მისი ცხოვრების წესით იქმნება. ბიძინა ივანიშვილმა ეს ავტორიტეტი, საკუთარ ოჯახთან ერთად, თავად შექმნა. ყველა მოქალაქეს აქვს ასპარეზი ჰქონდეს ავტორიტეტი და ამან განაპირობოს მისი გავლენა, სიტყვის ამპლიტუდა, მასშტაბი, ვინ ენდობა მის სიტყვას, ვის სჯერა და ა.შ. ახლა, რა ქნას ივანიშვილმა – რამე უნდა დააშავოს, რომ ამ გავლენამ დაიკლოს თუ რას სთავაზობენ? უნდა გააფუჭოს რამე, ხალხი გაამწაროს თუ რა ქნას? ეს მისი ცხოვრების წესით მოპოვებული ავტორიტეტია. მათაც იმ მორალური ღირებულებებით იცხოვრონ, რითაც ბატონი ბიძინა ცხოვრობს და ექნებათ ავტორიტეტი. აქვე, გააჩნია, რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს საზოგადოება. ჩვენ ქვეყანაში ივანიშვილს აქვს ავტორიტეტი იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ხალხი მარადიული ღირებულებების მიმართ გულგრილი არაა, ეს მათთვის ძვირფასია. არის ქვეყნები სადაც ასეთ ხალხს გავლენა და ავტორიტეტი არ აქვს, სადაც მაგალითად, ერთსქესიანთა ქორწინება არის უპირველესი ღირებულება. იმედი მაქვს ჩვენს ქვეყანაში ეს უპირველესი ღირებულება არასოდეს იქნება. ერთი წამით წარმოვიდგინოთ, დღეს ქვეყნის სათავეში ძველი ხელისუფლება რომ იყოს, ამ მოდური ტენდენციის ფონზე რას იზამდა. კონსტიტუცია დაიწყებოდა პრიამბულით – დიდება ერთსქესიან ქორწინებას! ახდა ქართველი ერის საუკუნო ოცნება. მერე, დაწერდნენ, რომ ამას ოცნებობდა შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი და ა.შ. ან თუ ამას ვერ დაამტკიცებდნენ იტყოდნენ, რომ ესენი იყვნენ ჩამორჩენილი ხალხი და ახლა, სულ სხვა, ცივილური ქართველი მოვიდა. ისევ ბატონი ბიძინას ავტორიტეტს მივუბრუნდები: ხალხი ვინც მას საყვედურობს და მისი არსებობა ვერ გადახარშა, თავისდაგაუცნობიერებლად ემართლება მას თუ რატომ აქვს ავტორიტეტი, რატომ იცხოვრა ასე და თავად რატომ არ აქვთ ეს ავტორიტეტი. ისინი ძალიან უსუსურ მდგომარეობაში იყენებენ თავს, როცა ადამიანს საყვედურობენ – შენ რატომ გაქვს ავტორიტეტი და მე რატომ არ მაქვსო. ივანიშვილს რას ემართლებიან, ჰკითხონ დედ-მამას, პედაგოგებს საკუთარ თავს. პასუხი საკუთარ პიროვნებაში და ბიოგრაფიაში ეძიონ.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ინფორმაციული „ზაპოის“, კოლექტიური ჰალუცინაციების და ლიბერალური გამოთაყვანების შესახებ

3 გვ.

მივიდნენ. მამა ნომერზე ელაპარაკება ადმინისტრაციას. ჩემი მეგობარი სპეციფიკური გამომეტყველებით მანქანასთან დგას და ხედავს – ძაღლი მოძუნძულებს, თავი ბულდოგს მიუგავს, ტანი – მაწანწალას.

— რა უნამუსო ყოფილა ბულდოგი – დადიოდა მაწანწალასთან და ლეკვები რომ ეყოლა, მიატოვა,– გაიფიქრა ჩემმა მეგობარმა.

— შენ რა გინდა, რატომ ერევი ჩემს პირად ცხოვრებაში? – მოუტრიალდა ძაღლი, მერე ხმამაღლა აქვითინდა და თავჩქინდრული გაეცალა არამკითხეს.

— რატომ ჩავერიე ამ პირად ტრაგედიაში, ვინ მეკითხებოდა, რა ჩემი საქმე იყო? – თავის თავს ესაუბრებოდა ჩემი მეგობარი.

ამ დროს უეცრად მიხვდა, რომ ჰალუცინაცია დაეწყო, შეეშინდა, ჩახტა მანქანაში, სახლში გაიქცა და ლოგინში დახვდა დაზაფრულ მამამისს.

ჩვენც ასე ვართ, ინფორმაციული “ზაპოი” გვაქვს. გველანდება და ვესაუბრებით ქიმერებს ნატოს თავით და რუსეთის ტანით, ჰალუცინაციები მათი ურთიერთ და ჩვენს მიმართ დამოკიდებულების გამო ასეთივე უსაგნო დისკუსიებს, ჩხუბს და მორალურ ტანჯვას იწვევს.

„აბანომდე“ და „ქისამდე“ ვერ მივდივართ და იმის მიხვედრის შანსი, რომ კოლექტიურ ჰალუცინაციებში ვართ, დღითი-დღე მცირდება.

ცნობილია, რომ უარყოფით საინფორმაციო ველში ადამიანის დნმ-ი იცვლება, ადამიანი განიცდის შეუქცევად დეგრადაციას, ავადმყოფდება და კვდება. ისიც ცნობილია, რომ თავისი სტრუქტურით. საინფორმაციო და ნივთიერი შხამები ერთმანეთს ჰგვანან.

არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ქართული საინფორმაციო საშუალებები წამლავენ ჩვენი მოსახლეობის გონებას და ცნობიერებას, აგდებენ სრულ ნიჰილიზმსა და აპათიაში, ხელისუფლებამ ბოლოს და ბოლოს უნდა მიხედოს ამ საშინელებას და აღკვეთოს ამ ვითომ ჟურნალისტების პარპაში ტელეეკრანებიდან.

რამდენიმე დღის წინ ვინმე ჟურნალისტმა მერაბ მეტრეველმა განაცხადა: თბილისი არაბული ქალაქი იყოო.

ბატონი მერაბ მეტრეველის საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ თბილისი არაბული ქალაქი კი არა, ქართლის დედაქალაქი იყო, რომელიც დაიპყრეს არაბებმა და გაათავისუფლა დიდმა დავით აღმაშენებელმა.

ასევე საკუთარი ქვეყნის მიმართ აგრესიული დამოკიდებულებით გამორჩეული ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ურცხვად ავრცელებს მოსაზრებას – თითქოს თბილისი „სომხური“ ქალაქი იყო.

თბილისი ყოველთვის გახლდათ ქართველ მეფეთა სატახტო ქალაქი, ხოლო სომეხი ვაჭრები და ხელოსნები საქართველოს მეფეთა ქვეშევრდომები იყვნენ.

ასეთი ტიპის უვიცი და მავნებელი ექსკურსები ისტორიაში ისეთ ტონალობაშია დაწერილი, თითქოს ჩვენ უნდა გვრცხვენოდეს, რომ თბილისი დღეს ქართულია და შევეგუოთ მხარდ დემოგრაფიულ ექსპანსიას.

ეს ლიბერალური გამოთაყვანება შეიძლება ძალიან ძვირი დაგვიჯდეს, ვინაიდან იგი წამლავს ახალგაზრდებს და ქვეყანას მომავლის გარეშე ტოვებს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# კორუფციისთვის ნასამართლევი გიორგი ბაჯელიძე – კორუფციასთან მებრძოლი რაინდი თუ წვრილფეხა პროვოკატორი ნაცების „ანგელოზთა“ სახლიდან?

რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია „შესყიდვების მონიტორინგისა და სწავლების ცენტრის“ ხელმძღვანელმა გიორგი ბაჯელიძემ (ორგანიზაცია „შეაჩერე კორუფცია“) გააკეთა განცხადება, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ადგილი აქვს კორუფციას და რომ კორუფციია „აკვანი“ არის ტენდერები. ჯერ თემა არ „გახურებულა“, გაზეთის გამოსვლამდე ერთი დღით ადრე „აიწია“, ამიტომ დეტალებზე ვერ ვისაუბრებთ, გარდა გავრცელებული ინფორმაციისა. გავრცელებით კი გავრცელდა ძალიან მწირი (ამ ეტაპისთვის) ინფორმაცია:

**გიორგი ბაჯელიძე**: „ჩვენ უკვე საზოგადოებას ვამცნეთ იმ სამარცხვინო გადაწყვეტილების შესახებ, რომელსაც პატიმრების კვებაზე 'გრიფით საიდუმლოს“ დადება წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სამარცხვინო ქმედება გამოწვეულია მხოლოდ ერთი მიზეზით: დამალონ ხელშეკრულებები, დახურონ შერჩევის პროცესი და გაუმჭვირვალე გახადონ შესყიდვები.



ნინო ელიზბარაშვილი

ბოლო ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, კვებით უზრუველყოფას ასრულებს შპს „ნილი“, რომლის ამონაწერსაც გთავაზობთ აქვე და რომლის დამფუძნებლებმაც 120 ათასი ლარი გადაურიცხეს „ქართულ ოცნებას“ არჩევნების წინ.

აგრეთვე, უკონკურსოდ დაიდო ხელშეკრულება – ცალკე პატიმრების პურით უზრუნველყოფაზე და ამ მომსახურეობას ახორციელებს შ.პ.ს. „ბეიქერი“, რომლის ამონაწერსაც გთავაზობთ აქვე.

როგორც ხედავთ, ეს ერთი და იმავე პირთა ინტერესებია და მათ შორის კავშირიც ნათელია. ისე არიან დარწმუნებული დაუსჯელობაში და ისე აშკარად აკეთებენ ამას, რომ დარწმუნებული არიან თავიანთ მფარველებში და არც შეწუხდნენ, რომ სხვა გვარებით მაინც დაეფუძნებინათ ეს კომპანია.

ეს კომპანია ახალშექმნილი იყო, როდესაც პირველი ხელშეკრულება გააფორმა და მას შემდეგ ჯამურად 1500 000 ლარის კონტრაქტები მიიღო.

როგორ შეირჩა ეს ახალგახსნილი კომპანია?

ეს არის მანიპულაციის, ფულის გაფლანგვისა და კორუფციის ცუდად დადგმული „სპექტაკლი“ შ.პ.ს. „ბეიკერი“ დააარსეს შ.პ.ს. „ნილის“ დამფუძნებლებთან დაახლოებულმა ახლო ნათესავებმა. ეს არის წინასწარი გარიგება, რაც იწვევს საბიუჯეტო სახსრების ფლანგვას.

ზუსტად იგივე სქემა მუშაობს პატიმრების ზეწრებით და ბალიშებით უზრუნველყოფაზე.

ეს ხომ მაინც შეიძლება აკონტროლო საწყობში, თუ „სააკაშვილის რეჟიმი“ დაბრუნდა და ერთ დღეში გაავსეთ ციხეები?

თქვენ კი გინდათ, რომ უნიათოები გიწოდოთ, როგორი იმიჯიც შეიქმენით წლების განმავლობაში, მაგრამ ეს მცდარი შეხედულებაა. შესანიშნავად ახერეხებთ ამ სამარცხვინო იარლიყის სათქვენოდ გამოყენებას და ამის მიღმა სათქვენო საქმის კეთებას“.

ამ განცხადებას მოჰყვა: **გიორგი ბაჯელიძის** მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა და ის აუცილებლად აგებს პასუხს ამ ბრალდებებისთვის,– ამის შესახებ „კვირასთან“ ინტერვიუში არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალი და ბიზნესის“ ხელმძღვანელმა **ნინო ელიზბარაშვილმა** განაცხადა,– ჩვენი ორგანიზაცია 2006 წლიდან მუშაობს პატიმრების რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციის საკითხებზე, ჩვენ პირველები ვიყავით, ვინც საპატიმრო დაწესებულებებში პატიმარ, პრობაციონერ და ყოფილ მსჯავრდებულ ქალთა რეინტეგრაციის ხელშეწყობისთვის დავიწყეთ მუშაობა. ამ მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით არაერთი პროექტი განვახორციელეთ, რამდენიმე წლის წინ ევროკავშირის გრანტი მოვიგეთ და სასჯელაღსრულოების დაწესებულებაში დავაფუძნეთ მცირე სოციალური სამკერვალო საწარმო. პატიმრებმა დაწესებულებაში ჭრაკერვის კურსები გაიარეს და მკერავის პროფესიას დაეუფლნენ. საერთაშორისო ორგანიზაციის გრანტის დახმარებით ეს სოციალური საწარმო შესაბამისი ტექნიკური ბაზით აღჭურვილი იყო. თავდაპირველად ეს კურსი სულ ასამდე ქალბატონმა გაიარა. მოგვიანებით კი მათგან 33 ქალი შევარჩიეთ და მათ შრომითი კონტრაქტები გავუფორმეთ. ვიდრე სამინისტროში ტენდერი გამოცხადდებოდა, ჩვენი დახმარებით მათ უკვე ჰქონდათ დაწესებულების გარედან კონკრეტული შეკვეთები. შარშან, სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერით კი შესაძლებლობა მოგვეცა პროექტი გაგრძელებულიყო. პატიმრები იღებენ შეკვეთებს თეთრეულის კერვაზე. დღეს მათ უკვე შეუძლიათ არამხოლოდ საკუთარი შემოსავალი გაიჩინონ, არამედ, დაწესებულების გარეთაც ეხმარებიან ახლობლებს. ეს ჩვენს მიერ მოგებული მეორე ტენდერია, თუმცა აქამდე წლების განმავლობაში არაერთი სოციალური პროექტი გვაქვს განხორციელებული. რაც შეეხება თავად ტენდერს, ის კანონის სრული დაცვით წარიმართა, ჩვენს გარდა სხვა ორგანიზაციებიც მონაწილეობდნენ და არანაირი გამარტივებული წესი და პრივილეგია არ ყოფილა. ჩვენმა ორგანიზაციამ ყველა ის კრიტერიუმი დააკმაყოფილა, რაც ტენდერის პირობებით მოთხოვნილი იყო. ვინც არ იცის, აქვე განვმარტავ, რომ მსგავსი სოციალური პროექტი არ არის კომერციული, ამ შემთხვევაში ხდება რეინვესტირება იმ შემოსული თანხების, რასაც საწარმო ტოვებს და დაკვეთებიდან შემოსული თანხები ისევ მისი საქმიანობის გაფართოებას ხმარდება, ასევე აქ დასაქმებული ქალბატონების ხელფასებს. ჩვენი მიზანია მჯავრდებულებს შევუქმნათ მეტი შესაძლებლობა, რომ ის დრო, რომელსაც დაწესებულებაში ატარებენ პოზიტიური, კარგი აქტივობებისთვის გამოიყენონ, რომელიც საკუთარ თავში რწმენას და ახალშეძენილი უნარებით შემოსავალს მისცემს. პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება მათ შესაძლებლობას მისცემს განთავისუფლების შემდეგ დასაქმდნენ და სტაბილური ცხოვრება ჰქონდეთ. როგორ შეიძლება მსგავსი სოციალური და მნიშვნელოვანი პროექტის შემდეგ მსგავსი განცხადებების კეთება? იმის მაგივრად, რომ მსგავსი აქტივობების განხორციელებისას ყველა ამოუდგეს სახელმწიფოს მხარში, ასეთ ცრუ ბრალდებებს ავრცელებენ! საერთოდ იცნობს ბაჯელიძე ჩვენს ორგანიზაციას, რომელმაც წლების განმავლობაში არაერთი მასშტაბური პროექტი განახორციელა? ის აუცილებლად აგებს პასუხს დეზინფორმაციისთვის!“

ვიდრე გაგაცნობდეთ რა კომენტარი გააკეთა კახა კახიშვილმა, მოგახსენებთ, რომ ამ მართლაც კარგი პროექტით ბევრმა ქალმა პატიმარმა ისარგებლა და ჩვენ (მეც ყოფილი პატიმარი ვარ) შესაძლებლობა მოგვეცა გვესწავლა ჭრა-კერვა, კომპიუტერის პროგრამები და ისეთი ხელსაქმე, რომელიც ციხის გარეთ გამოგვადგა. დღეს ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ ამისათვის ქალბატონ ნინოს. სამწუხაროა, რომ ამას ვერ ხედავს და ვერ აფასებს ბატონი ბაჯელიძე, რომელიც ყოველ „მოსახვევში“ ცრუობს. სხვა მონაცემების შესახებ მომდევნო კვირაში ვისაუბრებთ, მაგრამ ახლა დადასტურებულად შემიძლია გითხრათ, რომ ბაჯელიძემ იცრუა როცა განაცხადა თითქოს „ბეიკერის“ და „ნილის“ დამფუძნებლები ნათესავები არიან. დადასტურებულად განაცხადა თითქოს „ბეიკერის“ და „ნილის“ დამფუძნებლები ნათესავები არიან. დადასტურებულად შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის მტკნარი სიცრუე! ნათესაობა კი არა ნაცნობობაც არ






აკავშირებთ მათ და თუ რაში ჭირდება ბაჯელიზეს მსგავსი ტყუილები, ეს სასამართლოზე გაირკვევა.

სასჯელაღსრულებიოსა და პრობაციის მინისტრმა კი განაცხადა: **„ეს არის ევროკავშირის რეკომენდაციები სასჯელაღსრულების უწყებისთვის, რათა მოხდეს ბიზნესის ინტერესების დაცვა, რომ რაც შეიძლება მეტი საწარმო გაიხსნას სამინისტროში და პატიმრები დასაქმდნენ. ზუსტად ამ მიზნით გამოცხადდა ღია კონკურესები და არა დახურული, როგორც ამ განცხადების ზოგზოგიერთი ავტორი იყო მიჩვეული თავის დროზე, როდესაც მუშაობდა შესყიდვებში და კონვერტებით უგზავნიდა წინადადებებს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე იყო წინადადებები გამოქვეყნებული კონკურესთან დაკავშირებით. ყველა ის კომპანია, რომელიც შემოვიდა, იხდის გადასახადებს ჩვენს დაწესებულებებში მიწით სარგებლობისთვის, ვალდებულებებში აქვს ინვესტიციების ჩადება, მაგალითად, ერთ-ერთ კომპანიას ჩადებული აქვს 300 000 ლარი და ასევე პატიმრების დასაქმება... მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელება და საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანა აუცილებლად დასრულდება გიორგი ბაჯელიძის სასამართლოში გამოცხადებით. ჩვენ ხვალ ვგეგმავთ, რომ სარჩელი შევიტანოთ მისი და მისი ორგანიზაციის წინააღმდეგ. ვინაიდან გაკეთდა განცხადება კორუფციულ სქემებთან დაკავშირებით, მივმართავ პროკურატურას, რომ დაიწყოს გამოძიება ამ ფაქტზე, გამოიძახონ ბატონი ბაჯელიძე მოწმის სახით, გააფრთხილონ ცრუ დასმენაზე პასუხისმგებლობის შესახებ და თუ მისი განცხადებები არ დასრულდება ბრალის დადასტურებით, მაშინ მას მოუწევს ბრალის აღიარება. სხვათა შორის, სანქცია არის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა და იმედს ვიტოვებ, რომ ზოგიერთი ამის შემდეგ გამოსწორდება”.**

თავის მხრივ ბაჯელიძე კახიშვილის ამ განცხადებას „აღფრთოვანებით“ შეხვდა და განაცხადა რომ სამინისტრო პირველია, რომელიც დიალოგზე წამოვიდა.

როგორც ჩანს სასამართლოში სარჩელის შეტანა ბაჯელიძეს დიალოგი ჰგონია, არადა, ასე არ უნდა ფიქრობდეს. არქივს ვინც გადაავლებს თვალს, ნახავს, 2014 წელს გავრცელებულ ინფორმაციას: „სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავებულია შსს-ს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი გიორგი ბაჯელიძე. შსს-ს პრესსამსახურის განცხადებით, ბაჯელიძე გენერალურმა ინსპექციამ 11 თებერვალს დააკავა. უწყება საქმის დეტალებს ჯერჯერობით არ ასაჯაროებს“. ასევე: „მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, კერძოდ, გიორგი ბაჯელიძეს ადვოკატი აღმკვეთ ღონისძიებად 10000 ლარიან გირაოს შეფარდებას ითხოვდა. პროკურატურამ კი სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რომ ბაჯელიძეს პატიმრობა შეფარდებოდა. ჯერჯერობით უცნობია, გაასაჩივრებს თუ არა ადვოკატი ვლადიმერ გაბრიჩიძე საქალაქო სასამართლოს დღევანდელ გადაწყვეტილებას. შს სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ბაჯელიძე 12 თებერვალს დააკავეს. მას 2000-ლარიანი თანხის ქრთამად აღებას და საიდუმლო ტენდერის პირობების გასაჯაროებას ედავებიან“.

საბოლოო ჯამში ბაჯელიძე დააკავეს, მაგრამ პატიმრობიდან ვადაზე ადრე საქართველოს იმ პრეზიდენტმა იხსნა, რომელმაც სამი წელი იფიქრა გაეთავისუფლებინა თუ არა პატიმრობიდან ოთხი შვილის დედა თეა სირაძე. ბაჯელიძის შემთხვევაში მარგველაშვილს ბევრი არ უფიქრია, გათავისუფლებულმა ბაჯელიძემ, ისე როგორც ნაცების „ანგელოზებს“ ჩვევიათ, შექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია, ძალიან ჟღერადი დასათაურებაც მისცა და დაიწყო... მაგრამ ბაჯელიძე ამჯერად შეცდა, მას სასამართლოში უჩივლეს.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

(გაგრძელება იქნება)

მოენეები, ცილისმწამებლები, დამსმენები, დამბეზღებლები, ცრუ მოწმეები, დეზინფორმატორები, ადამიანთა მოდგმის ეს ყველაზე უბადრუკი კასტა, ყოველთვის არსებობდა და ყოველთვის იარსებებს, სანამ არსებობს სახელმწიფო და სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ამ კასტის დახმარებით ცდილობენ, აკონტროლონ ქვეყნის მოსახლეობა, შეაგროვონ ინფორმაციები და ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მართონ.

ნებისმიერ სახელმწიფოში მთელი რიგი სტრუქტურებია შექმნილი, თავისი მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალით, რომლებიც ამ ინფორმაციებს აგროვებენ, ახარისხებენ, აანალიზებენ, ქმნიან მონაცემთა ბაზას, აფართოებენ აგენტურულ ქსელს, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მოქალაქე გადაიბირონ და თავიანთ საიდუმლო თანამშრომლებად აქციონ და ა. შ.

თუმცა, როცა სახელმწიფო ამ გზას ირჩევს და ასინეთების ქსელს აფართოებს და აფართოებს, თანდათანობით თვითონვე ექცევა ასინეთების გავლენის ქვეშ, რადგან მათ მიერ მოწოდებული უამრავი ინფორმაციის გადამოწმებას ვერ ახერხებს და ტყუილ-მართალი ერთმანეთში ერევა.

ასეთ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ასინეთები მართავენ პროცესებს და არა ის სტრუქტურები, რომლებსაც ასინეთები ექვემდებარებიან.

რა ხდება დღეს საქართველოში და ისევ მოქმედებს თუ არა ასინეთების ანტიადამიანური, ანტისახელმწიფოებრივი ქსელი?

თუ ყურადღებით დავაკვირდებით პროცესებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ასინეთების კანტორა დღესაც აქტიურად მოქმედებს და თავის შავ-ბნელ საქმეებს წარმატებით ახორციელებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელმა საქართველომ „გადმოიბარა“ და, ფაქტობრივად, ხელუხლებლად დატოვა მთელი აგენტურული ქსელი და, მასთან ერთად ასინეთების ის კანტორა, რომელიც „დანოსებით“ ამარაგებდა ამ ქსელს.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მიუხედავად საზოგადოების კატეგორიული მოთხოვნისა, ვერა და ვერ მოხერხდა ეგრეთ წოდებული ლუსტრაციის კანონის მიღება, რაც საშუალებას მისცემდა ქვეყანას, გახსნილიყო საიდუმლო არქივები, გამოაშკარავებულიყო ქართველი ასინეთების გრძელზე გრძელი სია და დამოუკიდებლობის რთულ და ძნელ გზაზე შემდგარ ქართულ სახელმწიფოს დაუბრკოლებლად და თავისუფლად განვითარება შეძლებოდა.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ საიდუმლო დოკუმენტების სააშკარაოზე გამოტანამ მთელი მსოფლიო გააოცა: აღმოჩნდა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველი მესამე მოქალაქე საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა.

ანალოგიური სიტუაცია იყო აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც.

სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე არავინ იცის იმ აგენტურული კონტინგენტისა და კგბ-ის მიერ „დავერბოვკებული“ იმ მრავალრიცხოვანი ინფორმატორების ვინაობა, რომელიც საბჭოთა იმპერიამ მემკვიდრეობით დაგვიტოვა.

* * *

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ სახელმწიფო სტრუქტურები გაიწმინდებოდა მეხუთე კოლონის აგენტურული კონტინგენტისგან, ხოლო ასინეთას კანტორას და მის ფილიალებს ერთხელ და სამუდამოდ დიდი ბოქლომი დაედებოდა, მაგრამ ავადსახსენებელი კოაბიტაციის ცხოვრების წესად და ურთიერთობის ნორმად გამოცხადებამ ეს იმედი ჩანასახშივე მოკლა.

**შედეგად მივიღეთ „ქართულ ოცნებაში“ ლაღად და უშიშრად დაბანაკებული „ნაცმოძრაობის“ „მეხუთე კოლონა“ თავისი ასინეთებით, „სტუკაჩებით“ და „დანოსჩიკებით“, რომლებიც მიზანმიმართულად, დახვეწილი ტაქტიკით და მეთოდებით ახლა უკვე შიგნიდან ანგრევენ და ასუსტებენ „ქართულ ოცნებას“.**



# აღზევებული ასინეთები და „ნაცმოძრაობის“ მეხუთე კოლონა



დიდი გულუბრყვილობაა, იფიქრო, რომ „ნაცმოძრაობის“ კადრები „ქართული ოცნებისთვის“ რაიმე სასიკეთოს გააკეთებენ. „ნაცმოძრაობამ“ წინასწარ იზრუნა ამაზე და წინასწარ დაიზღვია თავი, რომ ეს არ მომხდარიყო, როცა ფარული ვიდეო თუ აუდიო ჩანაწერების მთელი ინდუსტრია შექმნა, რომელიც, პირველ რიგში, თავის წევრებსა და თავის მომხრეებზე კომპრომატების შეგროვებას ისახავდა მიზნად, რომ ეს ადამიანები ვერასოდეს გათავისუფლებულიყვნენ „ნაცმოძრაობის“ გავლენისა და კონტროლოსაგან.

ასე რომ, „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული „ნაცმოძრაობის“ კონტინგენტი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ჰგონია, რომ მას ემსახურება, სინამდვილეში ემსახურება „ნაცმოძრაობას“.

„ქართული ოცნების“ გულწრფელი მხარდამჭერები, რომლებიც არ შეუშინდნენ „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ რეჟიმს და პირველი დაძახებისთანავე „ქართული ოცნების“ გვერდით დადგნენ და ბოლომდე იბრძოლეს გამარჯვებისთვის, დიდი ხანია, ღიად აცხადებენ, რომ „ქართულ ოცნებაში“ მათ დიდი სიხარულით და სიყვარულით არავინ ხვდება, რომ მათ, ფაქტობრივად, ავიწროებენ, არ აძლევენ აქტიური მოქმედების საშუალებას, რის გამოც ისინი იძულებულნი ხდებიან, დატოვონ „ქართული ოცნების“ რიგები.

თითქოს რაღაც უჩინარი და უხილავი ძალა ებრძვის მათ, რომლისთვისაც სახელი ვერ მოუძებნიათ.

**„ნაცმოძრაობის“ მეხუთე კოლონის მსახვრალი ხელია ეს „ქართული ოცნების“ ახლანდელი და ყოფილი მხარდამჭერებო!**

ეგ ხელია, ყელში რომ გიჭერთ და კონკრეტულად თქვენი და ზოგადად მთელი „ქართული ოცნების“ მოხრჩობას რომ ცდილობს.

კიდევ ერთი მახინჯი და უტიფარი მოვლენა, რომელსაც დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს.

„ნაცმოძრაობის“ პორტირებული (ნაწილობრივ, არაპორტირებულიც) წევრები შესანიშნავად შეერწყნენ და შეეთამაშნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა ერთ ნაწილს, რაც, ადრე თუ გვიან, იმით დამთავრდება, რომ ისინი, საჭიროების შემთხვევაში, ერთად შეუტევენ „ქართულ ოცნებას“ და კონკრეტულად, ბიძინა ივანიშვილს.

**სწორედ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორია ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, რაც მათ საბოლოო გაერთიანებას და ერთ გუნდად შეკვრას ხელს უშლის, ამიტომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, ბიძინა ივანიშვილამდე რაც შეიძლება ბევრი დამახინჯებული და ცრუ ინფორმაცია მივიდეს სწორედ იმ ადამიანებზე, რომლებსაც ივანიშვილი ენდობა და რომლებსაც გულწრფელად შესტკივათ გული ქვეყნის ბედ-იღბალზე.**

გიორგი გამეზარდაშვილი



# გამოჩნდება თუ არა სხივი გვირაბის ბოლოს?

## სააკაშვილსაც მივწერე, ერთი შვილი დამეღუპა და მეორე მაინც გადამირჩინეთ-თქო – უსახლკაროდ დარჩენილი, შვილმკვდარი დედა დახმარებას ითხოვს



**გაზეთის წინა ნომერში შეუსრულებელი საბანკო ვალდებულებების, იპოთეკური სესხებისა თუ სხვა მიზეზების გამო, უსახლკაროდ დარჩენილი თბილისელების პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებზე ვწერდით. ჩვენი რესპოდენტები „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე და საქველმოქმედო ფონდი „სხივის“ დამფუძნებელი ნატო დოლიძე იყვნენ. მათი მონაყოლის თანახმად, უსახლკაროდ დარჩენილი თბილისელების პრობლემები შესაძლოა, უცხოელი დონორების დახმარებით მოგვარდეს, თუმცა ამისთვის სახელმწიფოს სურვილი და საბანკო სექტორის კეთილი ნებაა აუცილებელი. ჯერჯერობით, ვერც ერთს ვხედავთ და ვერც მეორეს, ამიტომ რესურსი, რომელსაც ჩვენი უსახლკაროების დახმარება შეეძლო,**

**ნატო დოლიძე: 200 მილიონი ევროს თაობაზე ინვესტორთან კონტაქტს ვაგრძელებ. ჯერჯერობით, ჩვენს პასუხს ელოდებიან და საქართველოს მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, ქვეყანა ამ ფულს მიიღებს, რომელიც იპოთეკით დაზარალებულ და უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს მოხმარდება. მე რასაც ვამბობ, ყველა სიტყვაზე პასუხს ვაგებ.**

**საქართველოს ნაცვლად, სხვა ქვეყნებში მიედინება. გაზეთის გამოსვლის შემდეგ, რედაქციას 80 წლის ქალბატონი ლუიზა კაზაროვა-ნანიკაშვილი დაუკავშირდა და მის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ გვიამბო:**

– დარეკვა თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ გადამაწყვეტინა, რომელშიც საქმელმოქმედო ფონდი „სხივის“ დამფუძნებელი უსახლკაროდ დარჩენილ „თბილისელ ლტოლვილებზე“საუბრობს. მინდა, რომ ამ ღვთისნიერმა ქალბატონმა ჩემი გასაჭირის შესახებაც გაიგოს.. თბილისში, საბურთალოზე დაბადებული და გაზრდილი ქალი ვარ. ჩემი მშობლები დელისის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. 1958 წელს დავამთავრე 62-ე სკოლა. მე და ნონა გაფრინდაშვილი პარალელურ კლასელები ვიყავით. ოჯახი გვიან შევქმენი. 1976 წელს უფროსი შვილი, მამუკა შემეძინა, 1979 წელს უმცროსი – კახა. ჩემს მეუღლეს ბინა არ ჰქონდა და რაღაც პერიოდი ქირით ვცხოვრობდით. 1985 წელს მუხიანში, ნონეშვილის ქუჩაზე 4 ოთახიანი ბინა ავაშენეთ და გავარემონტეთ. ჩემი მეუღლე მშრომელი ადამიანი იყო და შვილებს არაფერს აკლებდა, მაგრამ ინსულტი დაემართა და ლოგინად ჩავარდა. ამ დღის შემდეგ, ჩვენი ცხოვრება უკან წავიდა. უფროსმა შვილმა მამუკამ სკოლის დამთავრების შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ იმ პერიოდში სწავლა ფასიანი გახდა და გადახდის საშუალება რომ არ გვქონდა, მეხუთე კურსიდან გამოვიდა. ინსულტიან ავადმყოფს უამრავი წამალი და მოვლა ჭირდებოდა. მაშინ დაზღვევა და ასეთები არ იყო, ამიტომ 2001 წელს იძულებული გავხდით, ბინა გაგვეყიდა. მეუღლეს ამის მერე დიდხანს არ უცოცხლია. დედ-მამისეულ ბინიდან გავასვენეთ და იმის მერე, ნაქირავებიდან ნაქირავებში გადავდივართ. ახლა სადაც ვართ, ეს ჩემთვის მე-16 ბინაა. ამდენ გადასვლა გადმოსვლაში წიგნების გარდა, აღარაფერი შემომრჩა. ჩემს ორივე შვილს წიგნები ძალიან უყვარდათ და კარგი ბიბლიოთეკა მქონდა, მაგრამ გაჭირვებამ ცოტა წიგნებიც გამაყიდინა..

**– შვილებს სამსახურის დაწყება არ უცდიათ?**

– როგორ არა.. უფროსი შვილი სულ სამსახურის ძებნაში იყო, მაგრამ სადაა სამსახურები. უგულავას ორჯერ მივეცი ხელში წერილი. ვეხვეწებოდი, უსახლკაროდ ვართ დარჩენილი და შვილები მაინც დამისაქმეთ თქო, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. 2012 წელს კი ეს უბედურებაც მოხდა.. მამუკამ თავი მოიკლა..

**– მიზეზი რა იყო?**

– უსახლკარობა, უმუშევრობა და ბოლოს კაზინოში წაგებული ფული. გაყიდული ბინიდან გარკვეული თანხა დაგვრჩა და ამით ბინა ვიგირავეთ. უფრო სწორად, მეგონა რომ ვიგირავეთ და ნაქირავები ყოფილა. სწორედ ბინის დაგირავებისთვის საჭირო ფული წააგო კაზინოში, თუმცა იმ დღეს, სიკვდილზე ნამდვილად არ ფიქრობდა. მე ერთ ოჯახში დავდიოდი დასალაგებლად და იქ დამირეკა, რომ წამოხვალ, იქნებ პური წამოიღოო. როგორც ჩანს, მერე ბინის პატრონმა დაურეკა და ქირის ფული თხოვა. ფული აღარ ჰქონდა და.. სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, სახლში პატარა ჩიტი მოიყვანა და ლაპარაკი ასწავლა. ეს ჩიტი ისე გამოთქმით ამბობდა, რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულიაო – გაგიკვირდებოდათ. გალიაში მჯდარი ჩიტი აივანზე გაუყვანია და სამზარეულოში გაზი გაუშვია.. სახლში რომ შევედით, უკვე გარდაცვლილი იყო. 20 მაისს 36 წლის გახდა და 30 მაისს ეს ამბავი მოხდა. (ტირის) ჩემი შვილი დღიურებს წერდა და მისი სიკვდილის მერე ვნახეთ, რომ ერთგან წერს, მოგებული ის არის, ვინც არ თამაშობსო. ბოლოს აღარ თამაშობდა, დღიურში იმასაც წერს, მინდა ამ ჭაობიდან ამოსვლაო, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო.. ამ ერთს შვილს შევყურებ ახლა და სანამ მუშაობას დაიწყებდა, გული მისკდებოდა შიშით. სადღეღამისო ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობს და 300 ლარი აქვს ხელფასი, რომელიც მთლიანად ქირას მიაქვს. ჩემი პენსიის ფული წამლებს და კომუნალურ გადასახადებს არ ყოფნის და ზოგჯერ მიკვირს, როგორ ვარსებობთ..

**– სოციალური სამსახურისთვის დახმარების დანიშვნის თხოვნით არასოდეს მიგიმართავთ?**

– რამდენჯერმე, მაგრამ ვერ ვეღირსეთ. მეუბნებიან, 300 ლარი ხელფასი და 180 ლარი პენსია ორსულიანი ოჯახისთვის სრულიად საკმარისიაო, მაგრამ ეს ფული რომ ქირაში მიდის, არ აინტერესებთ. 80 წლის ქალს სარეცხი მანქანაც კი არ მაქვს, ხელით ვრეცხავ და მაინც 157 000 ქულა დამიწერეს. იცით, გული რაზე მწყდება? 35 წელი ქარხანაში ვიმუშავე და ვისაც შემეძლო, ყოველთვის ხელს ვუმართავდი. აფხაზეთიდან დევნილებს პროდუქტებით ვეხმარებოდი, სპიტაკის მიწისძვრით დაზარალებულებს მთელი ყუთი ახალთახალი ტანსაცმელები გავუგზავნე. ყველას გასაჭირი გულთან მიმქონდა და ჩემი სატკივარი გულთან, არავინ მიიტანა. თქვენს მტერს, იმან დღე მაყარა. ჯერ დამეტაკა, საიდან იცი ჩემი ტელეფონის ნომერიო, მერე მითხრა დახმარებისთვის სხვაგან უნდა დარეკოთო. სადღა დავრეკო და რა ვქნა, არ ვიცი. თქვენს გაზეთში ის ღვთისმიერი ქალბატონი რომ ამბობდა „თბილისელი ლტოლვილებიო“ ზუსტად ისინი ვართ და საშველსაც ვერსაიდან ვხედავთ..

**ბუნებრივია, ერთი თბილისური ოჯახის სულისშემძვრელი ტრაგედიის მოსმენის შემდეგ, დავინტერესდით, ითვალისწინებს თუ არა საქველმოქმედო ფონდი „სხივის“ უსახლკაროთა დახმარების პროგრამა ლუიზა კაზაროვა-ნანიკაშვილის კატეგორიის ადამიანების დახმარებას და კომენტარისთვის ფონდის დამფუძნებელს ნატო დოლიძეს დავუკავშირდით.**

– ბინა კაზინოში დაკარგეს თუ სხვაგან, ჩვენი პროგრამა სწორედ ასეთი, უბინაოდ დარჩენილი და გაუბედურებული ადამიანების დასახმარებლად შეიქმნა და ფინანსური რესურსი, რომლისთვისაც ვიბრძვი, ამ პროგრამის განხორციელებისთვის არის საჭირო. უბინაოების თემა ჩვენთვის გლობალურ პრობლემად იქცა, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც ის ღირსებაშელახული ადამიანები მიყენია, რომლებიც სააღსრულებო პოლიციამ ქუჩაში გამოყარა. მე ღამეები არ მეძინა, როცა საკუთარი თვალით ვნახე, როგორ გამოაგდეს ზამთრის ყინვაში ჩვილბავშვიანი ქალი ქუჩაში. სამწუხაროდ, ქალბატონი ლუიზას მსგავსი უმძიმესი ისტორიები ძალიან ბევრია. მე ვიცი ფაქტი, როცა 12 წლის გოგონას გადასარჩენად, სამი ოჯახი – ბავშვის მშობლების და მშობლების დედმამიშვილების, უბინაოდ დარჩა და ბავშვი მაინც ვერ გადაარჩინეს. ამ მთავრობას იმას ვერ დავუკარგავთ, რომ ჯანმრთელობის პრობლემები მეტ-ნაკლებად მოაგვარა, თუმცა სააკაშვილის პერიოდში უამრავმა ადამიანმა გაყიდა ბინა, რომ ცოცხლები გადარჩენილიყვნენ. ჩვენი წინა ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, დამიკავშირდა ადამიანი და მითხრა, რომ 4000 დოლარიანი სესხის გამო, რომლის ნაცვლად, პროცენტებით, 7000 დოლარია გადახდილი, კერძო იპოთეკარი ოჯახს ქუჩაში ტოვებს. სამწუხაროდ, გამოსახლების პროცესები დღესაც გრძელდება და არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ამ საშინელებას შეაჩერებს. ჩვენისთანა ქვეყანაში, კანონი ადამიანს ბოლო ჭერის იპოთეკაში ჩადების საშუალებას არ უნდა აძლევდეს. კომერციული ფართი ჩადოს, მიწის ნაკვეთი ჩადოს და რაც უნდა ყველაფერი, გარდა ბოლო ჭერისა. ასევე, დიდი ხანია ვაპროტესტებ კაზინოების თემას, რადგან ქალბატონი ლუიზას შვილის მსგავსად, უამრავი ისტორია გვსმენია, როცა ადამიანმა კაზინოში თანხის წაგების შემდეგ, თავი მოიკლა და ეს ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა. როგორ შეიძლება, რომ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა, სადაც ბავშვები შიმშილობენ და უღატაკეს ფენას სოციალურ დახმარებებს უხსნიან, კაზინოები ვიღაცის სიცოცხლის ხარჯზე, მილიარდებს შოულობდნენ? თუ ეს ყველაფერი ქართველი ერის მიზანმიმართული გენოციდისთვის არ კეთდება, რაღაც საკანონმდებლო ჩარჩოში უნდა მოექცეს და ადამიანს, რომელსაც ანგარიშზე ფული არა აქვს, კაზინოში თამაშის საშუალება არ უნდა ჰქონდეს.

**– უამრავი „თბილისელი ლტოლვისთვის“ თქვენი ფონდი და მისი პროგრამები უკანასკნელი იმედია, რომ ოდესმე საკუთარი ჭერი ეღირსება. ამ ადამიანებს რით დააიმედებთ?**

– როგორც ჩვენს წინა ინტერვიუში გითხარით, ამჟამად, რამდენიმე ბანკთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. უმარტივესი პროცედურებია შესასრულებელი, საიდანაც ბანკიც უზარმაზარ მოგებას ნახავს, მაგრამ ჯერჯერობით, შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. იცით, რა მიკვირს? თუ ევროპულ გზას ვადგავართ და ევროპული ოჯახის წევრობას ვცდილობთ, რატომ არ არის ჩვენს საბანკო სექტორში ევროპული მიდგომა, ევროპული განაკვეთები და პროგრამები? თუ ამ გაუბედურებულ ქვეყანაში ევროპულ საბანკო სისტემებზე აქტუალური ერთნაირსქესიანთა ქორწინებაა? ევროპული მიდგომები ცხოვრების დონის ამაღლებიდან უნდა დაიწყონ და არა ერთნაირსესიანთა ქორწინების დანერგვიდან. თქვენს კითხვას დავუბრუნდებიდა გეტყვით, რომ **200 მილიონი ევროს თაობაზე ინვესტორთან კონტაქტს ვაგრძელებ. ჯერჯერობით, ჩვენს პასუხს ელოდებიან და საქართველოს მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, ქვეყანა ამ ფულს მიიღებს, რომელიც იპოთეკით დაზარალებულ და უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს მოხმარდება. მე რასაც ვამბობ, ყველა სიტყვაზე პასუხს ვაგებ.** არ გვინდა პოლიტიკა, ხალხი გადაარჩინონ ქუჩაში ყოფნას, შიმშილს და სიკვდილს, როცა ამის რესურსი და შესაძლებლობა არსებობს. არის საგრანტო პროგრამები, იაფი კრედიტები და მოგვცენ საშუალება, რომ გამოვიყენოთ. მე 9 აპრილის მონაწილე და ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი ვარ. უამრავი შემოთავაზების მიუხედავად, არასოდეს, არც ერთი პარტიის წევრი არ გავმხდარვარ, თუმცა თუ ამ საქმეს დაჭირდა, არც ამაზე დავიხევ უკან. ჩემი ქვეყანა მიყვარს, აქედან არსად წასვლას ვაპირებ და არ შემიძლია ბედნიერი ვიყო, როცა ჩემს გარშემო ხალხი გაუბედურებულია, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამ 380 000 ოჯახს, რომელშიც მილიონზე მეტი ადამიანია, ცხოვრება შევუმსუბუქო.



**ნელი თორდია**
571 35 36 88

# ალექსანდრე კობაიძე: სამართალდამცავებს კიდევ ერთხელ ვთხოვ, დამკითხონ - „ელიავას ბაზრობაზე“ გაჩენილ ხანძართან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციებს ვფლობ...



დაახლოებით ორი თვის წინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი „რისი ეშინიათ „ელიავას ბაზრობაზე“ დასაქმებულ ადამიანებს?“, რომელშიც ჩვენი რესპოდენტი, „ხალხის პარტიის“თავმჯდომარე ამბობდა, რომ „ელიავას ბაზრობის“ მესაკუთრეები და მოვაჭრეები გარკვეული ადამიანების მხრიდან ზეწოლისა და შანტაჟს განიცდიან და მათი ქონება საფრთხეშია. ალექსანდრე კობაიძის თქმით, ბაზრობაზე დასაქმებული ადამიანები შიშობენ, რომ შესაძლოა, „ბავშვთა სამყაროში“ დასაქმებული ადამიანების ბედი გაიზიარონ:

„ჩვენ დავიკავშირდნენ ელიავას ბაზრობაზე დასაქმებული ადამიანები და გვითხრეს, რომ მათთან ბაზრობის ადმინისტრაციასთან დაახლოებული პირები მიდიან და აფრთხილებენ — თუ თქვენი ნებით თუ არ წახვალთ, პრობლემები შეგექმნებათო. ამ ადამიანების ვინაობას არ ამხელენ, თუმცა ეშინიათ, რომ ელიავას ბაზრობაზეც იგივე მოხდება, რაც ცოტა ხნის წინ, „ბავშვთა სამყაროში“ მოხდა.“

ინტერვიუში „ხალხის პარტიის“ ლიდერი აღნიშნავდა, რომ „ელიავას ბაზრობის“ თანამშრომლებს ბაზარზე სარეალიზაციოდ გამზადებული საქონლის გატანისაც კი ეშინიათ. საქონელი სხვადასხვა ადგილებში გადანახული აქვთ და ადგილზე მხოლოდ მყიდველის გამოჩენის შემთხვევაში მოაქვთ.

სამუხაროდ, ბაზრობაზე დასაქმებულების შიში გამართლდა, თუმცა, თავის დროზე, მედიით გავრცელებული ინფორმაციით რომ შესაბამისი უწყებები დაინტერესებულიყვნენ, შესაძლოა, ტრაგედია თავიადან აგვეცილებინა.

რა იყო ეს უბედური შემთხვევა თუ მიზანმიმართული დანაშაული? ვის ინტერესებში შედიოდა ქალაქის მერის არჩევნების წინ უკმაყოფილო ადამიანებისა და საპროტესტო აქციების რიცხვის გაზრდა და რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ ამ საქმის დროულად გამოსაძიებლად? ამ და სხვა თემებზე „ხალხის პარტიის თავმჯდომარე“ ალექსანდრე კობაიძე გვესაუბრა:

— როგორც იცით, ე.წ. ელიავას ბაზრობის თანამშრომელთა მომართვის საფუძველზე, 19 აპრილს ბრიფინგი გავმართე, სადაც მოსალოდნელ ხანძარზე ვისაუბრე და ვთქვი, რომ უცნობი ადამიანები ბაზრობის თანამშრომლებს მუქარისა და შანტაჟის გზით, ტერიტორიის დატოვებას თხოვდნენ.

სამწუხაროდ, შესაბამისმა უწყებებმა ჩვენს მიერ გაკეთებული განცხადებები რეაგირების გარეშე დატოვეს, რაც თავადაც ხედავთ, როგორ დასრულდა. ამ უბედურ შემთხვევებს თითქოს ერთი დირიჟორი ჰყავს, რომელიც ტერიტორიების ათვისების მიზნით, ყველანაირ სიბინძურეზე წამსვლელია. უკვე განგაშია ასატეხი, რადგან არ შეიძლება, რომ ასეთი ბოროტება დაუსჯელი დარჩეს.

**— ალბათ იცით, რომ კახი კალაძის თბილისის მერობის კანდიდატად წარდგენის ადგილიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით, „ბავშთა სამყაროს“ დაზარალებული თანამშრომლები საპროტესტო აქციას მართავდნენ. თუ „ელიავას ბაზრობაზე“ ხანძარი ხელოვნურად გააჩინეს, როგორ ფიქრობთ, ვის ინტერესებში შედიოდა მერის არჩევნების წინ კიდევ ერთი საპროტესტო აქციის და ასობით უკმაყოფილო ადამიანის გაჩენა?**

— თუ ვიღაც ფიქრობს, რომ ასეთი უბედურებებს დესტრუქციული ძალები აწყობენ, სახელმწიფოს რას აკეთებს ამის აღსაკვეთად? რამდენჯერაც რაღაც გაფუჭდება, მუდმივად სხვისკენ რომ ვიშვიროთ ხელი, ამით საქმეს ეშველება? ამდენი ხანი ხელისუფლებაში არიან, ასეთი ტრაგედიები ხდება და ერთი საქმეც არ არის გამოძიებული. ამიტომ მომხდარზე მთელ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას ვაკისრებ. დაედგინათ „ბავშვთა სამყაროში“ რა მოხდა, „საბაში“ რა მოხდა და ეს კითხვები არ იქნებოდა. სწორედ გაურკვევლობა აჩენს საზოგადოებაში კითხვებს.

**— დამწვარი ობიექტების ადგილზე ახალი ობიექტების აშენების ვერსიას თუ იზიარებთ?**

— ნამდვილად არ მჯერა, რომ იმხელა რესურსის ადამიანს, როგორც ივანიშვილია, რაღაცეების დაწვა და ამით ფულის შოვნა აინტერესებდეს. ვფიქრობ, ამაში ხელისუფლებაში შემძვრალი ზოგიერთი ადამიანის ხელი ურევია, რომლებსაც საკუთარი ინტერესების გამო, სხვისი უბედურება არაფრად ენაღვლებათ. ადრე თუ გვიან, ასეთი ადამიანები პასუხს აგებენ, მაგრამ მანამდე რამდენი ადამიანი ნერვიულობით გარდაიცვალა, რამდენს ვალები დაედო და სახლ-კარი დაკარგა, ზოგი სულ წავიდა ქვეყნიდან. სად ჩანს სახელმწიფოს როლი და თავის მოქალაქეებზე ზრუნვა?

**— ჩვენს წინა ინტერვიუში დაუდგენელ ადამიანებზე საუბრობდით, რომლებიც „ელიავას ბაზრობის“ თანამშრომლებთან მიდიოდნენ და ტერიტორიის დატოვებას მუქარით და შანტაჟით აიძულებდნენ. ამ ინფორმაციით ვინმე თუ დაინტერესდა?**

— წესით, უნდა დაინტერესებულიყვნენ. ვიფიქრე, დამიბარებდნენ და მკითხავდნენ, საიდან გავიგე და როგორ? მე ყოველთვის მზად ვარ სამართალდამცველებთან თანამშრომლობისთვის, მაგრამ არავის, არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია. რა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო მიმძაფრებს ეჭვს. ვიმეორებ, მე მზად ვარ სამართალდამცავებს ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია მაქვს მივაწოდო, რომ ხვალ კიდევ რამე არ დაიწვას და კიდევ მეტი ადამიანი არ გაუბედურდეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გაფრთხილება არ გაითვალისწინეს, მზად ვარ, ხანძრით დაზარალებულებს ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში დახმარება გავუწიო. ხელისუფლებას და შესაბამის უწყებებს კი მივმართავ, კონტროლზე აიყვანეთ ეს შემთხვევა და გამოიძიეთ ხანძრის გაჩენის რეალური მიზეზები.

ნელი თორდია
571 35 36 88





ირაკლი ვაშაყმაძე

## დედამიწის საგოდებელი

ლაჟვარდი ზეცა ენატრება დავითს და ნინოს,
სურნელი — ღონე დაეკარგა მაცხოვრის ღვინოს,
წერასატანილ შვილთა ჩემთა ვყოფილვარ წერა,
უსასრულობის სარეცელზე გულმკვდარი ვწევარ.
ზიზღით, შურით და სიძულვილით გალეშილები,
ხოცავენ ერთურთს დასაბამით ჩემი შვილები!
აქ გააღმერთეს...
მოძალადე, მკვლელი და ქურდი...
კლავენ და ჭამენ, ვისაც ხურავს ნამუსის ქუდი.
აქ, ძეგლს უდგამენ ომების და ბუნტის მდომელებს,
ყრუ დარიოსებს... და სისხლისმსმელ მაკედონელებს.
ვყოფილვარ დედა, გულბოროტთა, მოძმის მჭამელთა,
მეც, შვილთა დარად ჭკუაზე აჭრილს გონი წამერთვა.
სავსე მაქვს უბე საფლავებით...
მძორით და ნეხვით...
უსასრულობის სამარეში...
ჩამიდგამს ფეხი...
არა, არ ვუწყი თუ ვინ ზრდიდა მზაკვარ მეომრებს,
უსულგულოთა მხედარმთავრებს, ნაპოლეონებს.
ჯერ ისრით... მერე... ხმლით,.. და ... თოფით...
მერე ზარბაზნით,
ბომბებს მაყრიან... სისხლში ჩამხრჩვალს
სიკვდილს არ მაცლით,
მე, ღვთის მოშიში, სიყვარულით ვზარდე შვილებიც,
ამაღლებულნი, ზნეკეთილნი, მხარგაშლილები...
ბაღ-ვენახებით მიხატავდნენ ახო-სანახებს,
აგებდნენ ტაძრებს...
თაყვანს სცემდნენ წმინდა სამარხებს...
ლაო ძი, დანტე, ფირდოუსი, ფშაველა... ვზარდე,
ჰომეროსით და რუსთაველით... ავმაღლდი ცამდე...
შვილ-იბერებმა ჩემს კალთებზე ვაზი ახარეს...
საქართველოში მოძალადე ეშმა ხარხარებს...
ერთი შვილი რომ აშენებდა...
მეორე — სწვავდა...
მაგიერ უფლის ოქრო-ვერცხლი, ბოროტი სწამდა.
მიმონგრეულა კიბეები სათნოებათა,
ნაცრად ქცეულა მშვენიერი, რაც კი მებადა,
ბატონობს შური, სიძულვილი... მეფობს ავყია,
დაშაშრულ მკერდზე რაკეტებს და ბომბებს მაყრიან...
წერასატანილ შვილთა ჩემთა ვყოფილვარ წერა,
უსასრულობის სარეცელზე გულმკვდარი ვწევარ.

4.VII.2017 წელი

# „დიდი ოცეულის“ შეხვედრები და დიდი არეულობა ჰამბურგში



გერმანიის ერთ-ერთ მთავარ და დიდ ქალაქ ჰამბურგში, რომელიც გასულ კვირას „დიდი ოცეულის“ შეხვედრას მასპინძლობდა, პოლიტიკური (და არა მხოლოდ) ვნებათაღელვის ეპიცენტრად იქცა.

პოლიტიკოსები ამბობდნენ, რომ მსოფლიოს ყველა პრობლემამ ერთ წერტილში მოიყარა თავი და სამიტის ძირითად საკითხად დონალდ ტრამპისა და ვლადიმირ პუტინის პირისპირ შეხვედრას მიიჩნევდნენ. დიპლომატები, განსაკუთრებით, ამერიკელები, დუმილს ამჯობინებდნენ. მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ რუსეთის მხარე ემზადებოდა შეხვედრისთვის. თუმცა მრავლისმეტყველი იყო ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰენრი კისინჯერის მოსკოვში ჩასვლა. როგორც გაირკვა, მისი რუსეთში სტუმრობა სამიტამდე ერთი კვირით ადრე შემთხვევითობა სულაც არ ყოფილა.

დონალდ ტრამპი ჰამბურგში პოლონეთიდან ჩავიდა, რომელსაც ოფიციალური ვიზიტით სტუმრობდა. ქვეყნიდან, რომელსაც დღეს ე.წ. „ძველი“ ევროპული ქვეყნები „ცელქი ბიჭუნას“ როლის შეთავსებაში ამხელენ. რის შესახებ ისაუბრა ტრამპმა პოლონეთის ხელისუფლებასთან, უცნობია, რადგან მედიის ყურადღება, ძირითადად, ჰამბურგისკენ იყო მიპყრობილი.

დიალოგი დონალდ ტრამპსა და ვლადიმირ პუტინს შორის, რომელსაც მსოფლიოს პოლიტიკოსები მოუთმენლად ელოდებოდნენ, შედგა. აქვე სათქმელია, რომ შეხვედრა ჟურნალისტებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. თავდაპირველად დაგეგმილი იყო ორმხრივი შეხვედრის გამართვა სამიტის დასასრულს, მაგრამ საუბარი „დიდი ოცეულის“ პირველივე დღეს გაიმართა. ორგანიზატორებმა ჟურნალისტები საუბრის მსვლელობისას მიიწვიეს, ისიც რამდენიმე წუთით, მხოლოდ კადრების გადასაღებად. ამ გარემოებამ ზედახორა გამოიწვია. ამერიკელი ჟურნალისტები უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ, რომ შედვედრის დასაწყისი ვერ გაიგეს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამიტის დაწყებამდე დარბაზის ფოიეში შეხვდნენ ერთმანეთს ტრამპი და პუტინი. აშშ-ის პრეზიდენტმა ტავად გამოიჩინა ინიციატივა და პირადად გაეცნო რუს კოლეგას. მოგვიანებით კი გაიმართა ორმხრივი დიალოგი, რომელიც დაგეგმილზე ოთხჯერ მეტხანს – 136 წუთს გაგრძელდა. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ საუბრის გაჭიანურების გამო ტრამპის მეუღლე მელანია შეეცადა, გაეგო მიზეზი, მაგრამ შეხვედრის ოთახში არ შეუშვეს. თუმცა ვერც მელანიამ შეაწყვეტინა საუბარი ტრამპს და პუტინს. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ შეხვედრას მხოლოდ აშშ-ის და რუსეთის პირველი დიპლომატები – რექს ტილერსონი და სერგეი ლავროვი ესწრებოდნენ. პოლიტოლოგებმა ეს გარემოება საიდუმლოების დაცვის საბაბით ახსნეს, რათა საუბრის დეტალებს არ გაეჟონა.

ორმხრივი შეხვედრის შემდეგ პუტინი აშკარად კმაყოფილი იყო და ამას არც მალავდა ჟურნალისტებთან შეხვედრისას. ტრამპმა ბრიფინგზე უარი განაცხადა. ექსპერტების ვარაუდით, მას მობეზრდა უაზრო ერთი და იგივე კითხვების მოსმენაო. თუმცა ტრამპმა განაცხადა, რომ „უკვე განვიხილეთ რამდენიმე საკითხი და საერთო აზრი გამოვიტანეთ. იმედია, მომავალშიც გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა“.

ბრიფინგზე პუტინს სთხოვეს, ეთქვა, რა თემებზე ისაუბრა ტრამპთან. განსაკუთრებით აინტერესებდათ, განიხილეს თუ არა აშშ-ის მხარის მიერ ბრალდება საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის შესახებ. პუტინმა შეხვედრის თემებზე, თავისთავად, დაწვრილებით არ ისაუბრა, მაგრამ განაცხადა: „რაც აინტერესებდა, მკითხა, მე დაწვრილებით ავუხსენი, ყველა კითხვაზე ღიად და დაწვრილებით ვუპასუხე. იმედია, დავაკმაყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა“. მართალია, პუტინს დაწვრილებით არ უსაუბრია დეტალებზე, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ განიხილეს უკრაინაში არსებული ვითარება. აშშ-ი გამოიყენებს თავის გავლენას და პრობლემის მოსაგვარებლად დანიშნავს თავის სპეციალურ წარმომადგენელს უკრაინის საკითხებში, რომელიც უახლოეს ხანში ჩავა მოსკოვში კონსულტაციისთვის.




განიხილეს, ასევე, კიბერუსაფრთხოების საკითხიც, რომელიც მწვავედ აწუხებს მსოფლიოს. პუტინ-ტრამპის შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე მიაღწიეს შეთანხმებას სირიაში დროებითი ზავის შესახებ.

შეხვედრის შეფსასებისას ორივე ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ფრთხილობდა. „კარგია, რომ პრეზიდენტებმა წარსულის ქექვა არ დაიწყეს. ახლა მთავარია მომავალი ურთირთობების გაუმჯობესება“,– განაცხადა ტილერსონმა. „ხანგრძლივი შეხვედრა ორივე მხარისთვის სასარგებლოა. კონფრონტაციის ნაცვლად ორივე პრეზიდენტი თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს“,– თქვა ლავროვმა.

სამიტის პირველი დღის ბოლოს გამართულ ვახშამზე მელანია ტრამპი და ვლადიმირ პუტინი ერთად ისხდნენ და გულითადად (გერმანულად) საუბრობდნენ, მაშინ, როდესაც თავად დონალდ ტრამპი საკმაოდ მოშორებით იჯდა. აქვე ვიტყვით, რომ დონალდ ტრამპის განცხადებით, ისიც კმაყოფილია პუტინთან პირისპირ შეხვედრით და დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებს. აშშ-ის ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ დოალოგი ორმხრივად სასარგებლო გამოდგა.

აშშ-ის პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად გარკვეული წრეების მცდელობისა, შეზღუდონ ტრამპის სამოქმედო არეალი, მას შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, რათა თვითდინებაზე არ მიუშვას აშშ-რუსეთის ურთიერთობა, რომელიც, შესაძლოა, კონფრონტაციაში გადაიზარდოს. მათივე თქმით, ტრამპის მოწინააღმდეგეები არაფრით იქნებიან კმაყოფილები, რადგან სხვა ქვენა მიზნები აქვთო.

ამერიკულ პრესაში უკვე გავრცელდა ჭორი, თითქოს პუტინი ტრამპს უყვიროდა და შეაშინაო?! ჭორმა პოლიტიკოსებში ღიმილი გამოიწვია. ექსპერტებს აინტერესებთ, ვინ უთხრა ეს ჟურნალისტს, როდესაც შეხვედრას მხოლოდ ოთხი მაღალჩინოსანი ესწრებოდა, რომლებმაც ბრიფინგზეც მხოლოდ ზოგადი ფრაზებით ისაუბრესო. როგორც ვხედავთ, ტრამპზე შეტევები გრძელდება. როდის გამოჩნდება შეხვედრის რეალური შედეგები, მომავალი გვიჩვენებს.



„დიდი ოცეულის! წლევანდელი შეხვედრა იმითაც იყო გამორჩეული, რომ მსგავსი არეულობავანდალიზმი ჰამბურგს, ალბათ, ასწლეულებია, არ ახსოვს, თვითმხილველი მიმომხილველების შეფასებით, ეს იყო არა ანტიგლობალისტების გამოსვლა, არამედ ბოროტი ხულიგნური ქმედება. მათი თქმით, არიან ადგილობრივი ე.წ. „შავი ნიღბიანი“ ახალგაზრდები, რომლებიც გარკვეული თანხის სანაცვლოდ ნებისმიერ პროვოკაციულ აქციას განახორციელებენ (საერთო ხომ არაფერი აქვთ „ჩვენს“ არასამთავრობოებს და მათ?). სწორედ ასეთი ხულიგნები პარპაშებდნენ, რადგან ანტიგლობალისტები ტრადიციულად თავიანთი მოთხოვნებით გამოდიან, ამჯერად არაფერი მოთხოვნა არ ჰქონდათო, ამბობენ თვითმხილველები.

ორმხრივი შეხვედრებიდან აღსანიშნავია დონალდ ტრამპისა და ბრიტანეთის პრემიერის ტერეზა მეის შეხვედრა. ექსპერტების ვარაუდით, საუბარი ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებს შეეხებოდა. თუმცა ბრიტანეთს, ვიდრე საბოლოოდ არ დატოვებს ევროკავშირს, უფლება არა აქვს, დამოუკიდებლად გააფორმოს რომელიმე ქვეყანასთან ხელშეკრულება. ექსპერტები ასევე მიიჩნევენ, რომ ტრამპის მიზანი იყო ორმხრივი ურთიერთობები და არა კოლექტიური, რადგან „გუნდური თამაში“ არ უყვარს.

„ჩვენ ევროპაში ჯანსაღ, პატიოსან კონკურენციას ვემხრობით“,– განაცხადა ტრამპმა. ამით მიანიშნა ევროპაში რუსული ბუნებრივი გაზის აშშ-ის თხევადით ჩანაცვლების სურვილი. ჯანსაღ კონკურენციაზე თანახმაა რუსეთის მხარე. საფრაგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმაც განაცხადა, რომ მხარს უჭერს თავისუფალ, პატიოსან ვაჭრობას ქვეყნებს შორის.

სავარაუდოდ, ეკონომიკური კავშირების გაფართოების გამო საკმაოდ ხშირად ესაუბრებოდა ანგელა მერკელი ჩინეთისა და რუსეთის ლიდერებს. როგორც ჩანს, მოკავშირეებმა იმედები გაუცრუეს. ამიტომაც გაიმეორა სამიტის დასრულებისას „დიდშვიდიანზე“ ნათქვამი – „ჩვენ ჩვენ თავს უნდა მივხედოთო“.

გია ბურდული
551 71 27 07

# ჩემი სიმართლე ჩემი მტერია



დუშეთის რაიონის მკვიდრი – ნაზი შამანაური პირველი ქართველი ჟურნალისტი იყო, ვინც კომუნისტური რეჟიმის დროს სიტყვის თავისუფლებას შეეწირა. იგი ცდილობდა მოსახლეობისთვის ნათლად დაეხატა იმდროინდელი პოლიტიკური წყობის რეალური სურათი, მისი ავკარგიანობა. ნაზი შამანაურმა სიცოცხლეში ნახა რა არის ჯოჯოხეთი, „კგბ“სა და კომუნისტების წყალობით ფსიქიატრიული საავადმყოფოს კოშმარები საკუთარ თავზე გამოცადა, მაგრამ ვერაფერმა გატეხა.

„უმაღლესი ადამიანური ნეტარებაა აზროვნება“ და რომ არა იმდროინდელი ოფიციოზის აქტიურობა, ჩაკირული აზროვნება, ნაზის შემოქმედება სხვა დატვირთვას მიიღებდა.

1940 წლის 5 ივლისს დაიბადა ქ. დუშეთში. 1958 წელს დაამთავრა დუშეთის N1 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში ფრანგული ენის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ნაზი მშობლიურ რაიონს უბრუნდება. მუშაობას იწყებს პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატში აღმზრდელად; 1966 წელს სწავლას აგრძელებს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს. ჟურნალისტის თვალი ხედავს უამრავ მანკიერ მოვლენას და იწყებს მანკიერების მხილებას... სწორედ ამის გამო მისი ცხოვრება ტრაგიკულად სრულდება...

„მისი გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა. ის ებრძოდა ყოველივეს, რაც უსამართლოდ მიაჩნდა. იცავდა ღარიბს, ჩაგრულს, უპატრონოს, მოხუცს. მან საზოგადოება დაყო ორ ნაწილად: მომხვეჭელები, ქურდები, ავაზაკები და პატიოსანი ჩაგრულები. ნაზიკომ უკან დახევა არ იცოდა, მაგრამ სიმართლის დამტკიცება იმ დროისთვის თითქმის შეუძლებელი იყო“ – იხსენებს ნაზი შამანაურის ერთ-ერთი მეგობარი.

1982 წლის 14 აგვისტო... ჩარგალი... ვაჟაობის დღესასწაულზე სიტყვით გამოვიდა ჟურნალისტი ნაზი შამანაური და გაბედულად ამხილა დუშეთის რაიონის თანამდებობის პირთა თვითნებობა, ბოროტმოქმედება, საუბარი დაიწყო საქართველოს სავალალო მდგომარეობაზე... იგი მაშინვე დააკავეს უშიშროებისა და მილიციის თანამშრომლებმა. მასთან ერთად დაკავებული იქნა დედამისი – სარა შამანაური-ინაშვილიც. შამანაურსა და ინაშვილს მიუსაჯეს იძულებითი მკურნალობა თბილისის ასათიანის სახელობის რესპუბლიკურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნის დროს ნაზიმ პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა. 5 თვის მანძილზე მას იძულებით მკურნალობდნენ. ამ ხნის განმავლობაში იგი წერდა დღიურებს. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს მისი დღიურიდან: „აუტანელი ტანჯვით ვიტანჯებოდი, შიგ სახეში მცემდნენ. ხითხითებდნენ – „შენ აქედან ცოცხალი ვერ გახვალ, შენთვის ეს სურამის ციხედ იქცევა.. ჟურნალისტი გამოვიდა სიმართლის მაძიებელი“... „23 დღეს კაციშვილი არ შემოსულა პალატაში; ექიმები ყურადღებას არ მაქცევდნენ, თუმცა იცოდნენ, როგორ მაწამებდნენ... მთელი კბილები ჩამიმტვრიეს, სახეზე არ შემეხედებოდა. სულ ჩამოვხმი. როგორც არასდროს, ისე მინდა სიკვდილი..“

„53 დღის მშიერი ვარ.. რომელი ერთი ავიტანო, შიმშილი თუ შეურაცხყოფა“...

1983 წლის იანვარში ნაზი შამანაური სასიკვდილოდ ცემა მედპერსონალმა, რის შედეგადაც მან მიიღო თავის ქალის ტრავმა, დაემართა პერიტონიტი და გადაყვანილი იქნა თბილისის მეცხრე კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა.

ჯალათებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ნაზი შამანაური შიზოფრენიით იყო დაავადებული.

ნაზის დედა სარა ინაშვილი, რომელიც შვილთან ერთად მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, შვილის დაკრძალვაზეც კი არ გაუშვეს, ის 1983 წელს საზოგადოების აქტიური ჩარევით გამოიყვანეს ფსიქიატრიული საავადმყოფოდან.

„... არაფერზე დამწყდება გული, მხოლოდ დაწყებულ სიმღერას დამთავრება უნდა, ამიტომ მე უნდა ვიცოცხლო“... – ასეთი იყო ნაზი შამანაურის სურვილი.

**ცირა ელიაშვილი**
**გაზეთი „საარაგვო“**

# „დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს“

## კოტე აფხაზი – 150



2017 წელი საიუბილეო თარიღია – საქართველოს ეროვნული გმირის, გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზის დაბადებიდან 150 წელი სრულდება. ჩვენი ქვეყნის საზოგადოება ალბათ გამოეხმაურება ამ საიუბილეო თარიღს სხვადასხვა სახის ღონისძიების გამართვით. კარგი იქნებოდა ამ საიუბილეო თარიღს კონსტანტინე აფხაზის მემორიალური მუზეუმის დაარსებით შევხვედროდით.

აფხაზთა საგვარეულო სათავეს აფხაზეთიდან იღებს. ეს გვარი აფხაზეთის ერთ-ერთი წარჩინებული გვარის – ანჩაბაძეთა კახეთში დამკვიდრებულ შტოს წარმოადგენს (მეორე ვერსიით, აფხაზები შერვაშიძეთა გვარის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ). აფხაზთა საგვარეულოს წარმომადგენლები ქართულ საისტორიო წყაროებში XVII საუკუნის შუა ხანებიდან მოიხსენებიან. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზთა საგვარეულო ქართლ-კახეთის თავადთა შორის საკმაოდ დაწინაურდა. სამშობლოსა და მეფის ერთგულების საპასუხოდ აფხაზებს დიდად სწყალობდნენ მეფეები – ერეკლე II და გიორგი XII.

აფხაზთა გვარმა საქართველოს არაერთი ღირსეული პიროვნება მისცა. მათ შორის გამორჩეულია საქართველოს ეროვნული გმირი, კონსტანტინე (კოტე) აფხაზი (1867–1923). მის სახელთან დაკავშირებულია არაერთი საქვეყნო საქმე. გენერალი კონსტანტინე აფხაზი არჩეული იყო თბილისის საადგილმამულო ბანკის სამეურვეო კომიტეტის წევრად. ასრულებდა ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა წინამძღოლის მოვალეობას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით კახეთში გაიყვანეს რკინიგზა. 1917–1918 წლებში ის იყო თბილისის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების თავმჯდომარე. კონსტანტინე აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლაში. იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ხოლო 1921–1923 წლებში ამ პარტიის თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა.

1917 წელს საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ კონსტანტინე აფხაზი საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად აირჩია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იყო დამფუძნებელი კრების წევრი, აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებაში. 1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, გენერალი კონსტანტინე აფხაზი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. მისი თაოსნობით დაარსდა საქართველოს ინტერპარტიული პარიტეტული კომიტეტის (საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი) სამხედრო ცენტრი, რომელიც კოორდინაციას უწევდა საერთო-სახალხო ამბოხისთვის მზადებას. გამცემლობის შედეგად, სამხედრო ცენტრს ჩეკისტებმა მიაგნეს. კოტე აფხაზი დააპატიმრეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. 1923 წლის 20 მაისს გენერალი კონსტანტინე აფხაზი თოთხმეტ თანამებრძოლთან ერთად დახვრიტეს.

1923 წელს, კოტე აფხაზის დახვრეტის შემდეგ, აფხაზებს საგვარეულო სასახლე ჩამოართვეს. აფხაზთა სასახლე გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში მდებარეობს. 1948 წლიდან აქ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა თავშესაფარი ფუნქციონირებდა, რომელიც მოგვიანებით გაუქმდა. 2005 წელს გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სასახლე აფხაზთა საგვარეულოს წარმომადგენელს საკუთრებაში გადაეცა.

აფხაზთა საგვარეულო სასახლე XIX საუკუნის ძეგლია. აუშენებია დიმიტრი აფხაზს, რომელიც სიღნაღის მაზრის ხაზინადარი ყოფილა. მოგვიანებით აფხაზებს საგვარეულო სასახლე დაუკარგავთ, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში კვლავ დაუბრუნებიათ. სასახლის ბოლო მფლობელები ნიკოლოზ აფხაზი და მისი შვილი კონსტანტინე იყვნენ. ნიკოლოზ აფხაზს ცოლად ჰყავდა ნინო გრიგოლის ასული ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძის და. სასახლეს ილია ჭავჭავაძე ხშირად სტუმრობდა. კაკო ყაჩაღის პროტოტიპი პოემიდან „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ კარდენახელი გლეხი ყოფილა, რომელსაც ილია პირადად შეხვედრია. გადმოცემით, სასახლეში ერთი ოთახი კოტე აფხაზს მასთან სტუმრად მყოფი გერმანელი მწერლის არტურ ლაისტის რჩევით გაუკეთებია.

1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, კონსტანტინე აფხაზის მეუღლე ელენე იოსელიანი და ვაჟი ნიკოლოზი საფრანგეთში გაემგზავრნენ. ნიკოლოზ აფხაზმა და მისმა მეუღლემ პეგი პემბერტონ-კარტერმა კანადაში ბაღი გააშენეს. დღეს „აფხაზების ბაღი“, რომელსაც „სიყვარულის ბაღსაც“ უწოდებენ, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია მთელ კანადაში. ბაღს უამრავი ტურისტი და დამთვალიერებელი სტუმრობს. ბაღი გამორჩეულია საოცარი ფლორით და ლამაზი პეიზაჟებით. აფხაზთა საგვარეულო სასახლე სოფელ კარდენახში კი მრავალი წლის მანძილზე ინგრეოდა და იძარცვებოდა. დღეს ის ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და გადაუდებელ რესტავრაციას საჭიროებს. სახელმწიფო ალბათ გადადგამს ნაბიჯებს ამ პრობლემის გადასაჭრელად. შემდეგ კი კარგი იქნებოდა მუზეუმის დაარსება – კონსტანტინე აფხაზის ღვაწლი, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი კავშირი აფხაზთა გვართან, მათ სასახლესთან, სოფელ კარდენახთან იძლევა ამის საშუალებას. სამომავლო პერსპექტივაში შესაძლებელი იქნება კავშირის გაბმა კონსტანტინე აფხაზის მუზეუმსა და კანადაში, „აფხაზების ბაღის“ ადმინისტრაციას შორის კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების კუთხით, რაც თავის მხრივ საფუძველი გახდება ორი ქვეყნის – საქართველოსა და კანადის უფრო მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობისა.

**ამირან ბასილაშვილი**
593 43 40 79

# ძლიერი რეგიონები


ყვარელი

## ყვარელი – „ნელქარისის“ მეღვინეობის საწარმოს გახსნას პრემიერ-მინისტრი დაესწრო

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში „ნელქარისის“ მეღვინეობის საწარმო გაიხსნა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი პარლამენტისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაესწრო.

სს „მეგობრების მარანი“ ფიზიკური პირების მიერ კერძო ინვესტიციის საფუძველზე დაარსებული საწარმოა და მასში 4 მილონამდე აშშ დოლარის ინვესტიციაა ჩადებული. საწარმო აგროპროექტის ფარგლებში 2014 წელს აშენდა, კომპანია „შეღავათიანი აგროპროექტის“ პროგრამის ბენეფიციარია და 600 000 აშშ დოლარის სესხით სარგებლობს.

საწარმო, რომელშიც 75 ადამიანია დასაქმებული, წლიურად 150 000 ბოთლ ღვინოს აწარმოებს. პროდუქცია წარმოდგენილია როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე.

## საერთაშორისო კონგრესი წყალტუბოში

ჯანმრთელობისა და სილამაზის ქალაქ წყალტუბოში, დღეს უმნიშვნელოვანსი და მასშტაბური ღონისძიება სამედიცინო თემებზე გაიმართა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის 20 წლისთავის აღსანიშნად გამართულ ღონისძიებას ნობელის პრემიის ლაურეატი აარონ ჩიხანოვერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე, მსოფლიო ალერგოლოგიის ორგანიზაციის პრეზიდენტი მარიო სანჩეზ-ბორხესი, ამერიკის ალერგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის კოლეჯის ყოფილი პრეზიდენტი ბრაიან მარტინი და სხვა ცნობილი მეცნიერები და ექიმები ესწრებოდენენ. კონგრესი გახსნა და საპატიო სტუმრები საზოგადოებას წარუდგინა მსოფლიო იმუნოპათოლოგიის ორგანიზაციისა და საქართველოს ალერგოლოგიის და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტმა რევაზ სეფიაშვილმა. კონგრესი ორი დღის განმავლობაში თბილისში მუშაობდა, დღეს კი წყალტუბოში კიდევ ერთი ერთობლივი სესია ჩატარდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები კონსტანტინე მამისეიშვილი და პაატა ახალაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატი ცოტნე ზურაბიანი, რომლებმაც მისასალმებელი სიტყვების შემდეგ საპატიო სტუმრებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს. კონგრესზე აღინიშნა, რომ სამეცნიერო მუშაობა უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისათვის, რომ საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა უნიჭიერესი კადრებით, რომლებსაც გაფრთხილება და სამეცნიერო ნაყოფიერი მუშაობისთვის სათანადო პირობების შექმნა სჭირდებათ.

## ინფოტური წყალტუბოში

უნიკალური კურორტის წყალტუბოს პოპულარიზაციის, ტურისტული პოტენციალის წარმოჩენისა და სამედიცინო ტურიზმის განვითარების პერსპექტივების გაცნობის მიზნით დღეს წყალტუბოში საერთაშორისო ინფო ტური გაიმართა, რომელსაც რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან 10 წამყვანი ტურისტული კომპანიის 12 წარმომადგენელი ესწრებოდა. ვიზიტორები წყალტუბოში ხუთი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ, დაათვალიერეს ყველა ტურისტული ობიექტი, ბალნეოპარკი, სამკურნალო- გამაჯანსაღებელი ცენტრი `Be Healthy“, №1,2,3 6 აბაზანები, სასტუმროები, ჩაიტარეს სხვადასხვა სამკურნალო პროცედურები, შთაბეჭდილებების გაზიარებისა და მომავალი თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით სასტუმრო,, წყალტუბო პლაზაში’’ სს,, ბალნეოსერვისის’’ ორგანიზებით, განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების თს ფონდის, სამედიცინო ტურიზმის საერთაშორისო კომპანია GMT -ისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით შემაჯამებელი შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტატინე მამისეიშვილი, ფრაქცია,, ქართული ოცნების’’ თავმჯდომარე ჯემალ ფანცხავა, თვითმმართველობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებმა განიხილეს წყალტუბოში ტურისტებისა და ახალი ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები, ისაუბრეს უშუალოდ ტურისტის თვალით დანახულ რეალობაზე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების აუცილებლობაზე, იმ რეკომენდაციებზე, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია წყალტუბოში მკურნალობის, კომფორტულად დასვენებისა და გართობის საუკეთესო პირობების შესაქმნელად.


წყალტუბო

## ხარაგაული – სოფელ ღარიხევში გზის მობეტონება დასრულდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კონტროლის ჯგუფმა (თავმჯდომარე არჩილ მაღრაძე) შესრულებული სამუშაო ჩაიბარა.

სოფელ ღარიხევის ცენტრალური გზის პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 63 109 ლარით დაფინანსდა. პროექტის ფარგლებში მობეტონდა სოფლის ცენტრალური გზის 700-მეტრიანი მონაკვეთი.

## ბაღდათის მუნიციპალიტეტში შიდასასოფლო გზები წესრიგდება

სოფელ ფერსათიდან სალხინოს ეკლესიასთან მისასვლელ გზაზე, 5 მეტრი სიგანის 500 მ-იან მონაკვეთზე რკინაბეტონის საფარი იგება. სამუშაოებს ახორციელებს შპს „ჯ და ჯ“. გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია აგვისტოს ბოლოს დასრულდება.


ბაღდათი

კომუნალური გაერთიანების სამსახური კი სოფელ ვარციხეში შიდასაუბნო გზების შესაკეთებლად მუშაობს.

## დუშეთი მლაშე–ჩანადირების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა, გამგეობის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე მლაშე-ჩანადირების საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტით გათვალისწინებულია საავტომობილო გზის 4050 გრძივი მეტრის სრული მოასფალტება. სოფელ მლაშეში გზის ორ მონაკვეთზე მიმდინარეობს ნაპირსამაგრი გაბიონიების მოწყობა, იხრეშება შიდა საავტომობილო გზები. ინფრასტრუქტურული სამუშაოები ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და ნოემბრის თვეში დასრულდება.

## ანაკლია–განმუხურში სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება

შპს,, ანაკლია-განმუხური რესორტი“, საზაფხულო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, სანაპირო ზოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აქტიურად განაგრძობს.

მიმდინარეობს განმუხური-ანაკლიას დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები. შეიცვალა ელექტრომომარაგების სისტემები, მიმდინარეობს სველი წერტილების მოწესრიგება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების“ ცენტრის მიერ სისტემატურად სუფთავდება ზღვის სანაპირო ზოლი და მიმდებარე პერიმეტრი. სანაპირო ზოლის დასუფთავებაში ჩართულია სპეცტექნიკა.

## ნაპირსამაგრი სამუშაოები ოდიშში, მდინარე ჯუმზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბულიოს უბანში, მდინარე ჯუმზე ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ,, კეთილმოწყობის ცენტრი“ ახორციელებს.

## დედოფლისწყარო – ალოობა 2017 შირაქის ველზე

კახეთის რეგიონში თავთავიანი კულტურის მოსავლის აღება აქტიურ ფაზაშია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში ადგილობრივი

# ძლიერი საქართველოსთვის



დედოფლისწყარო

მოსახლეობისთვის 30 ჰექტარზე ქერის მოსავალს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „მექანიზატორის“ 5 კომბაინი იღებს.

„მაღალი მოსავალია, რასაც პირველ რიგში ბუნებრივმა პირობებმა შეუწყო ხელი. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ისიც არის, რომ შპს „მექანიზატორის“ ტექნიკა მუშაობს გამართულად, კარგად ორგანიზებულია ალოობის პროცესი და იმედი გვაქვს, ყველა ფერმერი დროულად მიიღებს მექანიზაციას, კომბაინს და მოსავალი უდანაკარგოდ იქნება გამოტანილი მინდვრიდან“,- განაცხადა კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა.

წელს კახეთის რეგიონში შპს „მექანიზატორს“ დაგეგმილი აქვს დაახლოებით 30-35 ჰექტარზე თავთავიანი კულტურის მოსავლის აღება. მოსავლის შეუფერხებლად აღების მიზნით, კახეთის რეგიონში, ამ ეტაპზე, მობილიზებულია შპს „მექანიზატორის“ 74 კომბაინი, აქედან, გურჯაანის სერვისცენტრში - 45, ხოლო დედოფლისწყაროს სერვისცენტრში - 29 ერთეული.

## აბაშაში ტროტუარების კეთილმოწყობა აქტიურად მიმდინარეობს

ქ. აბაშაში ჩიქოვანის, ჯორჯიკიასა და თავისუფლების ქუჩებზე ტროტუარების მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტი ითვალისწინებს: ტროტუარებზე შემორჩენილი ასფალტის ფენისა და ამორტიზებული ბეტონის წყალსაწრეტი არხების დემონტაჟს, ახალი რკინაბეტონის არხების, არხის ზემოთ გადასასვლელების, ბორდიურებისა და ტროტუარების მოწყობას. ყოფილი არქივიდან ეკლესიამდე, კულტურის სახლის (ჩიქოვანის ქ.), I საჯარო სკოლისა (ჯორჯიკიას ქ.) და ყოფილი უნივერმაღის (თავისუფლების ქ.) მიმდებარედ სხვადასხვა ფერისა და ფორმის დეკორატიული ფილებით 624 მეტრზე ტროტუარი და 750 მეტრამდე რკინაბეტონის არხი მოეწყობა.

სამუშაოების მიმდინარეობა აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მამუკა კვიტაშვილმა, გამგებლის მოადგილემ კუკური ლასარეიშვილმა და შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებმა დაათვალიერეს. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 82 352 ლარით ფინანსდება.

## მარტვილი – გზის მშენებლობა სოფ. გურძემში

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გურძემში გზის მშენებლობა გრძელდება. მიმდინარე სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ, გამგებლის პირველმა მოადგილემ გიორგი გოროზიამ და ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის თანამშრომელმა ჯამბულ გეგეჭკორმა დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში დაიგება 2700 მეტრი ასფალტბეტონის საფარი, მოეწყობა წყალამრიდები და მილხიდები. სამუშაოების ღირებულება 407 449 ლარს შეადგენს. ამ ეტაპზე დაგებულია ასფალტბეტონის პირველი ფენა, შესრულებულია სამუშაოების 70 პროცენტი.

## ჩხოროწყუ – სამაშველო ოპერაცია წარმატებით დასრულდა

სოფელ ხაბუმეში მდინარე ხობისწყლის ადიდების შედეგად ადგილობრივი მცხოვრებნი, მამუკა გელანტია და რაულ პაპავა პატარა კუნძულზე ჩარჩნენ. მდინარეში წყლის მატებისა და დინების გაძლიერების გამო მაშველები შესვლას ვერ ახერხებდნენ, რის გამოც საჭირო გახდა ვერტმფრენის გამოძახება. სამაშველო ოპერაცია წარმატებით დასრულდა - მაშველებმა ვერტმფრენის საშუალებით მოახერხეს სტიქიის ზონაში ჩარჩენილი ადამიანების გადარჩენა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი დათო გოგუა ოპერატიული რეაგირებისთვის მადლობას უხდის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციას, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, კრიზისების მართვის ცენტრს და ყველა იმ ადამიანს, ვინც სამაშველო ოპერაციაში იყო ჩართული.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამეგრელოში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და სასაზღვრო პოლიციის ერთობლივ ოპერაციაში ჩართული ეკიპაჟის წევრებს, რომლებმაც ორი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს, პრეზიდენტს სახელმწიფო ჯილდოზე წარუდგენს. გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ ეკიპაჟის მეთაურმა ბესიკ გაბიანმა და ეკიპაჟის წევრებმა - ბესიკ ბაკურიძემ, შალვა შალიბაშვილმა და დიმიტრი ქაძემ გმირული საქციელი ჩაიდინეს და ჩხოროწყუში, ვერტმფრენი პრაქტიკულად ადიდებულ მდინარეზე დასვეს.



მარტვილი

## ბოლნისში ახალი საბავშვო მოედანი „მხიარული ქოხი“ საზეიმოდ გაიხსნა

რამდენიმეთვიანი შრომის შემდეგ ბოლნისს ახალი საბავშვო მოედანი შეემატა. გერმანელი არქიტექტორის პროექტით აშენებული „მხიარული ქოხი“ საზეიმოდ გაიხსნა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, გერმანელი დიპლომატები, ბავშვები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ეს პროექტი საქართველოში გერმანიის საელჩოს, საქველმოქმედო ფონდის„ ებერჰარდ შიოკისა“ და ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა და საქართველოში გერმანელი მიგრანტების 200 წლის იუბილეს მიეძღვნა.

„რამდენიმეთვიანი შრომის შემდეგ ბოლნისის ისტორიულ უბანს ასეთი ფერადი და მხიარული გასართობი საბავშვო მოედანი შეემატა. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილი ბოლნისში არა მარტო პატარებისთვის, არამედ ზრდასრულებისთვისაც.

## დაბა მანგლისში

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ერეკლე კუხი-



წალკა

ანიძემ მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებთან ერთად დაბა მანგლისში თამარ მეფის, სტალინისა და დემეტრაშვილის ქუჩებზე საკანალიზაციო სისტემისა და BIOTAL-ის გამწმენდი ნაგებობების მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

გამწმენდი ნაგებობა უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ჩამდინარე წყლების სრულ ბიოლოგიურ გაწმენდას.

პროექტის ღირებულებაა 1 250 000 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან (მთის განვითარების ფონდი) ფინანსდება 1 187 500 ლარით; ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 62 500 ლარით; სამუშაოები მალე დასრულდება.

## წალკა – კოოპერატივების შექმნის პროგრამა

მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში კოოპერატივების განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით ქ. წალკაში კოოპერატივების შექმნის მსურველთათვის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილე ზაურ დარგალი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები დავით მამუკელაშვილი და ვახტანგ დავლაძე, ასევე წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი გიგინეიშვილი და წალკის მუნიციპლიტეტის გამგებლის მოადგილე ფეოხარ პარასკევოვი.

## გორი – რეაბილიტირებული სამუსიკო სკოლა სოფელ ხიდისთავში

ხიდისთავის სამუსიკო სკოლაში მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 100-ზე მეტი ბავშვი სწავლობს.

გამოიცვალა სკოლის სახურავი, მოეწყო 120-კაციანი დარბაზი, კეთილმოეწყო ეზოც. სკოლაში დაგეგმილია გათბობის ინოვაციური სისტემის დამონტაჟებაც.

## „სამეწარმეო კომპეტენციის განვითარების პროგრამა“

„ახალგაზრდებში სამეწარმეო კომპეტენციის განვითარების პროგრამის“ შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გორის სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა.

პროექტის მიზანია, ახალგაზრდებს დაეხმაროს მეწარმეობის უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარებაში, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობები პიროვნული განვითარებისთვის, დასაქმებისთვის, სტარტაპის დაწყებისა და თვითდასაქმებისთვის.

ამ პროგრამის ფარგლებში შერჩეულ საუკეთესო იდეების მქონე ახალგაზრდებს ჩაუტარდებათ ტრენინგ-კურსები და მენტორინგი, მათ გაუწევენ კონსულტაციას, თუ როგორ განავითარონ, დახვეწონ და საქმედ აქციონ საკუთარი იდეები. პროგრამა ხორციელდება გორის, ზუგდიდის, ახალციხისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ, USAID-ის პროექტის - „ზრდა“ - პარტნიორობით. გორის მუნიციპალიტეტში პროგრამის მხარდამჭერია გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდული სამსახური.

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

1992 წლის აგვისტოში პრესით გავრცელდა პროფესიით კომპოზიტორისა და დირიჟორის, ეზოთერიკ გივი ალაზნისპირელის მიმართვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტისადმი, რათა მიეცათ სიტყვით გამოსვლის უფლება სიმპოზიუმზე, რომელიც თბილისში, ნოემბერში უნდა ჩატარებული. მისცეს თუ არა ბატონ გივის სიმპოზიუმზე გამოსვლის უფლება, უცნობია, თუმცა რა თეზისები უნდა ეთქვა, ვფიქრობთ, არც ახლაა უინტერესო, პირიქით...

გივი ალაზნისპირელი: — „1) დედამიწის 42 გრ პარალელისა (როგორც უკვე აღვნიშნეთ „ივერთა გადაადგილების გზა“ სწორედ 42-ე პარალელზე გადის — ავტ) და 43 გრ. მერიდიანის გადაკვეთის კვადრატში, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კერძოდ, ხარაგაულის მიმდებარე მთებში აღმოჩენილია ეპიცენტრი, სადაც სამყაროს ცენტრიდან დედამიწის მიმართ კოსმიურ-აზრობრივი ღერძი პროექცირდება. ბუნების ეს მოვლენა საქართველოში ოდითგანვე „სვეტიცხოვლის“ სახელით ყოფილა დამკვიდრებული, ხოლო შუმერთა ცნობიერებაში იგი „დურ-ან-ქი-ს“ ეპითეტითაა შემორჩენილი, რაც თანამედროვე ქართული ენით ცის და მიწის კავშირს ნიშნავს. ბიბლიასა და სახარებაში ბუნების ეს ფენომენი მოიხსენიება როგორც „სიცოცხლის ხე“!

2) ასეთი ღერძის მიწაზე დაშვების შორიახლოს ნაპოვნია ქვის მასალისგან ხელით ნაგები „ვეშაპი,“ რომლის ზომები მკაცრად შეეფერება ბიბლიისეული აღწერილობის ნოეს „ხის“ კიდობანს. აღნიშნული „ვეშაპი“ ფაქტობრივად წარმოადგენს საქართველოს ქვეშ არსებულ უდიდესი მიწისქვეშა ტაბუირებული სივრცის კარიბჭეს, საიდანაც ძალიან ღრმად ორი გრძელი გვირაბი ეხვევა მიწაში აღნიშნულ სიცარიელეში ჩასასვლელად.

„სვეტი-ცხოველის“ ფენომენი, მიწაში ჩაშვების მომენტში უერთდება მიწიურ „გ“ ველს („გველს“), რომლის გამოც ეს ორივე მიწისქვეშა გვირაბი „გველის“ სახელითაა როგორც შუმერთა, ასევე ბიბლიისა და ახალი აღთქმის ფურცლებზე მოხსენიებული. სიტყვაში „გველი“ ეზოთერულობა დევს და თანაც უდიდესი.

გთავაზობთ აღმოჩენილი მიწისქვეშეთის წარმოსახვით ესკიზს. მისი გადათვალიერებისას არ შეიძლება ვერ შენიშნოს თქვენმა თვალმა, დაბლა, საქართველოს ქვეშ, ერთ მთაზე აგებული ქალაქი (სულ ქვემოთ). ეს ის ქალაქია, რომლის შესახებაც დასასრულს მოგვითხრობს „აპოკალიფსი“. რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს „ზეციური იერუსალიმი“. ბატონებო! თავს ნებას ვაძლევ გაუწყოთ — იგი აღმოჩენილია! ეს ქალაქი მიწისქვეშეთში იმყოფება და თანაც საქართველოს ქვეშ!

აქვე უნდა ითქვას, რომ „ზეციური იერუსალიმი“, ეს ერთ-ერთი სახელწოდებაა „ბაბილონისა“, ხოლო ამ ქალაქს მანამდე „ური“ უნდა რქმეოდა, რომლის შესახებაც დიდი ინფორმაციაა შუმერთა ეპოსში შემორჩენილი...

რთულია ერთ პატარა წერილში იმის გადმოცემა, თუ როგორ მოხდა ამ ათასწლეულებით გამოკეტილი და მივიწყებული მიწისქვეშა ქვესკნელის აღმოჩენა და იქ ჩაუსვლელად გამოკვლევა, მაგრამ ერთი კი ფაქტია — ჩვენი იბერია იმ სულიერ საგანძურზე ზის, რომელიც კავკასიონზე „მიჯაჭვულ ამირანს“ გულისხმობს. ეს საიდუმლო გახსნილია!

სიმპოზიუმზე გამოსვლისთვის მოვითხოვ 7–10 წუთს. ამ დროში შევეცდები ფაქტების, სლაიდებისა და ლოგიკის საფუძველზე მცირედად მაინც ვაუწყო თბილისში ჩამოსულ სტუმრებს რომ ნაპოვნია ის, რასაც კაცობრიობა უკანასკნელი 4000 წლის მანძილზე ეძებდა, დედამიწის რიგით პირველი სკოლა მისტერიისა — შამბალა!

Aარ არის გამორიცხული, რომ ასეთი გრანდიოზული აღმოჩენა საფუძვლად დაედოს მსოფლიოს დღევანდელ, სულიერად გამოფიტული ზნეობის ხელახალ აღორძინებას. ამას გარდა, აღმოჩენილია მიწისქვეშა სისტემა, რომლის სახელწოდებაა „ლაზარე“, რაც მოკლე ხანში დაადასტურებს, რომ იბერიელნი და ებრაელები ძმები არიან.“

ამ მიმართვის შემდეგ ჰიტლერის მაგების „ღრუ დედამიწის თეორია“ გაახსენდება ადამიანს, ქართული ხალხური ზღაპრების „ქვესკნელი“ და ა.შ...

ისევ გერმანია და ჰიტლერს დავუბრუნდეთ — საიდან მოიგონეს მისმა ასტროლოგებმა „ღრუ დედამიწის თეორია“, რა მიწისქვეშა ქალაქის შესახებ „ბოდავდა“ ბნედამორეული ფიურერი, რატომ სჯეროდა ასე მტკიცედ მისი არსებობა მიწისქვეშეთში და არა ზეცაში, ქალაქისა, რომელსაც უზენაესი მართავს? რას შეიძლება მიეწეროს დედამიწის შიგნით არსებულ „რაღაც ცხოვრებაზე“ ეჭვი, ფანტაზიები, წარმოსახვები და ა.შ?

რასა-ადამიანთა ნაწილი თუ ცაში „ხედავს“ სხვა სამყაროს, ნაწილი მიწაში, ანუ აქვე, დედამიწაზევე მოიაზრებს დედამიწაში ჩასასვლელ(ებ)ს. რაოდენ უცნაური დამთხვევაც უნდა იყოს, მხოლოდ ქართულ ხალხურ ზღაპრებშია ერთდროულად წარმოდგენილი ქვესკნელში ჩასასცვლელიც და ზესკნელიც, სადაც დედამიწისგან განსხვავებული დროის მდინარებაა. მხოლოდ ქართული ზღაპრების გმირებს ამოაქვთ ქვესკნელიდან სამ დღეში უკვდავების წყალი, თუმცა დედამიწაზე უკვე იმდენი ხანი ხვდებათ გასული, რომ მათი ნაცნობ-საცნობი არავინ და აღარაფერია...

იოანე, 8, 42 იესო ამბობს: „მე გამოვედი და მოვედი ღმერთისგან...“

ჩვენ ვიცით, რომ იესო ცად ამაღლდა, ამიტომ მის მოსვლას ციდან ველით, მის სამყოფელს ზეცაში მოვიაზრებთ, თხოვნისას ზეცას შევცქერით, მაგრამ არ ვუკვირდებით, საიდან მოვიდა. იესო არ ამბობს რომ იგი საიდანმე ჩამო-ვიდა, ის ამბობს რომ საიდანღაც გამო-ვიდა...

„გამოცხადება“ 21,18: — „მისი გალავანი იასპით არის ნაგები, და ქალაქი წმინდა ოქრო“... და ჩამოთვლილია ის ძვირფასი ქვები, რომლითაც ნაშენია ქალაქი. მას არ სჭირდება მნათობები, რადგან მუდმივად განათებულია. ქალაქის ქუჩის შუაში, მდინარის ორივე მხარეს სიცოცხლის ხეა, რომელსაც მოაქვს თორმეტი ნაყოფი ყოველთვე და მისი ფოთლები სამკურნალოა... „მე, იოანემ, მოვისმინე და ვიხილე ეს...“

რაღაც აქვს კოდირებულად შემონახული ქართულ ხალხურ ზღაპრებს ზეპირსიტყვიერად, რაც ქვესკნელს წარმოაჩენს იმ უპირატეს სამყაროდ (სადაც სულაც არ მოიხსენიება მიცვალებულთა სულები) სადაც ცოდნაა, სულიერი საგანძურია, მაგრამ რა არის ის რაღაც, ამის ახსნა ჯერ კიდევ არ ძალუძს ადამიანს...

ის, რომ ბორჯომ-ხარაგაულის მონაკვეთში პარანორმალური მოვლენები ფიქსირდება, მავანთ არასერიოზულად მიაჩნიათ, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრება მრავალ საინტერესო მოვლენას ავლენს. ადგილობრივი მაცხოვრებლები, რომელთაც იდუმალი ამბები აღელვებთ ან აინტერესებთ, გაოცებულები არიან, რატომ არავინ ინტერესდება ამ მოვლენებით, რომელსაც ანალოგი არ აქვს. როდესაც ნათელი, ვარსკვლავებიანი ცა არის, გარკვევით ისახება ხე, რომელიც შემორაგულია ვარსკვლავებით; ამოუცნობი ცეცხლის (ნაპერწკლების) გარდამოსვლა ხდება „ღმერთის მთაზე“ რომელიც ქარელიდანაც ჩანს; სურამის ქედზე ოთხი მიმართულებით უბერავს სიორის გამოც ღრუბლები ოთხივ მხარეს მიდიან; „ლომის მთაზე“ მომხდარი ანომალიური მოვლენა რასაც ადამიანთა დიდი ჯგუფი შეესწრო 1998 წელს და ა.შ (ადგილ-მდებარეობების, ფაქტობრივად, უცნაური სახელები „დევები“, „გეთსიმანია“, „ნუნ-ისი“ და ა.შ)

დიდად გახმაურებული ამბავი არ არის — 1972 წელს უცნაური რამ მოხდა, ეშერას ლაბორატორიაში ჩაუშვეს კომისია რომელშიც ქართველი მეცნიერებიც იმყოფებოდნენ. ცნობილია ამ მეცნიერთა ვინაობაც: ჯუმბერ ლომინაძე, ვახტანგ აბაშიძე და გერმანე გობეჯიშვილი. მიწის ქვეშ რაც ნახეს, ეს ნამდვილი შოკია! დამთხვევაა თუ რაიმე კავშირშია, დაბეჯითებით ვერ ითქვა — მხოლოდ ჯუმბერ ლომინაძე გადარჩა, რაც თვითონვე უკვირდა, ორივე მეცნიერი კი დაავადდა, გერმანე გობეჯიშვილი — უცნობი დაავადებით, ვასხტანგ აბაშიძე — სიმსივნით. როგორც ჯუმბერ ლომინაძე პირად საუბრებში ამბობდა, საქართველოს ქვეშ არის გიგანტური ლაბორატორია სადაც ტარდებოდა გენეტიკური ექსპერიმენტები რამდენიმე ათასი წლის უკან, რომელიც შემდგომში დაკონსერვებული და წყლით ამოვსებულია. ამ ლაბორატორიაში რამდენიმე ჩასასვლელი ყოფილა. ჩასასვლელების შესახებ ბევრს სმენია, მაგრამ ადამიანებს გონება აქვთ დახშული და სასაცილოდ არ ჰყოფნით მსგავსი საკითხებიო...

(გაგრძელება იქნება)



შუმერული ფილა სიცოცხლის ხით და ორი ჩასასვლელით




გივი ალაზნისპირელის წარმოსახვითი ნახატი



სიცოცხლის ხე - კარხემიში



ლაზური სიცოცხლის ხე - წინწყარო



სიცოცხლის ხე - ბოლნისის სიონი

ქრონიკა

# რამ გაახარა შალვა ნათელაშვილი?



„არსებული მონაცემებით, ქვეყნის დეფაქტო მმართველი, დიქტატორი ბიძინა ივანიშვილი ინსულტირებული, პარალიზებული და სრულიად ქმედუუნაროა“, — განაცხადა ვეტერანმა ქართველმა ლეიბორისტმა შალვა ნათელაშვილმა.

შალვა ნათელაშვილი ყოველთვის ყველა ხელისუფლების „ოპოზიციაშია“ და ამბობს: ერთხელ მეც მანდეთ ძალაუფლებაო. ამას რომ ხელისუფლება ანდო, ერთ დიდ სავაჭრო დახლად გადააქცევს ქვეყანას, ისედაც მიჩვეულია აღებ-მიცემობას — საკრებულოს თავმჯდომარეობა ხომ მიჰყიდა სააკაშვილს. პარტიის ქონებით ხომ სასახლე აიშენა ბაზალეთში გლეხთა და მუშათა პარტიის ლიდერმა — ეჭვს გამოთქვამენ სოციალურ ქსელებში შალვას დემაგოგიით თავმობეზრებული მოქალაქეები.

რამდენიმე დღის წინ ამერიკაში ბრძანდებოდა. როგორც ამბობს, თავის „კოლეგებთან“ — რა აქვს ამდენი სათათბირო იმ თავის „კოლეგებთან“, გარდა იმისა, რომ „ჩაუშვას“ და ცილი დასწამოს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას?!

მშრომელები, მუშები და გლეხები დიდი ხანია გამოიქცნენ მშრომელთა პარტიიდან და ეს ვისი ლიდერია, ხომ ვერ გვეტყვის ბატონი ნათელაშვილი?!

ბიძინა ივანიშვილმა ორ მილიარდზე მეტი ჩადო ამ ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

ორი მილიარდი რომ ჰქონდეს შალვა ნათელაშვილს, იმის გამკეთებელია ქვეყნისთვის, რაც ივანიშვილმა გააკეთა?

მეტი არაა ჩემი მტერი.

რაც კალამბურები და სხარტულები უთქვამს ოდესმე, ის რომ ახსოვს, ის მაინც გაიხსენოს, საქართველოს ისტორიაში სხვას ვის გაუმეტებია ამდენი და სხვას ვის გაუკეთებია ამ ზომის და წონის სიკეთე ჩვენი ქვეყნისთვის, რაც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა მატერიალურად და სულიერად. სულერად-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ 2003 წლიდან 2012-მდე საშინელი ტერორის ქვეშ მყოფი ქართველები მისმა გამოჩენამ გაათავისუფლა სააკაშვილის პარანოიკული ზრახვებისგან და ქმედებებისგან. ოჯახებს დაუბრუნა ათასობით პატიმარი, დაზარალებულ ხალხს კი უკანონოდ წართმეული ქონება და მომავლის იმედი.

რა მასშტაბის დემაგოგი და ფარისეველი უნდა იყო ადამიანი, რომ ეს ვერ დაინახო და სიხარულით ამბობდე — ქვეყნის დეფაქტო მმართველი ივანიშვილი პარალიზებულიაო.

ბატონო შალვა, ქვეყნის მმართველად დღემდე რომ ბატონ ბიძინას აღიარებთ, თუ ქვეყანა გიყვართ, ეს მმართველი პარალიზებულიც რომ იყოს, არ უნდა ამბობდეთ, რადგან თუ მმართველი პარალიზებულია, ე.ი. ქვეყანაც პარალიზებული ყოფილა.

და ეს გიხარიათ თქვენ?

სასიხარულო რა გაქვთ, უნდა გრცხვენოდეთ, თქვენი ბირთვი, ხალხი, რომლებმაც თქვენთან ერთად პარტია აშენა, თქვენი ძლიერი მადის გამო იძულებულნი გახდნენ პარტია დაეტოვებინათ.

ნათელაშვილის ბოლოდროინდელი სიბრძნეებიდან აღსანიშნავია კახი კალაძის მოხსენიებაც — რუსეთმა ამ კრიმინალს ჩააბარა ხელისუფლება ივანიშვილის მაგივრადო.

კალაძე კრიმინალია და თქვენ ხართ პატიოსანი?

დავუშვათ, კალაძე კრიმინალია.

თქვენზე ამბობენ მევახშე ბრძანდებაო.

ვინ გაარჩევს, რომელი ჯობს — კრიმინალი თუ მევახშე?

მოკლედ, რა უნდა ბატონ შალვას, თვითონაც არ იცის.

სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით.

ბატონ შალვას სურს ბევრი ფული, ძალაუფლების ტახტი, თაყვანისცემა და ფოჩიანი კანფეტები…

გაშიფრული ხართ, ბატონო შალვა და რაც უნდა იყვიროთ და იღრიალოთ, ივანიშვილი საერთოდ რომ წავიდეს ამ ქვეყნიდან და ყველა პარტიაც რომ გაწყდეს საქართველოში არც ერთი სერიოზული კაცი თქვენ გვერდით არ დაგიდგებათ.

დამთავრდა თქვენი მასკარადი და შოუ, ბატონო შალვა და ამაში არავინ დაადანაშაულოთ. ეს თქვენ თვითონ „უჩალიჩეთ“ საკუთარ თავს!

**ირანდა კალანდაძე**

# ვუსამძიმრებ თამარ და გია გულორდავებს



ტრაგედიას, მით უფრო შვილისას და მისგან გამოწვეულ ტკივილს საზომი არა აქვსო, არც სიმაღლე და სატოლსწორო გააჩნიაო… — უთქვამთ სვეგამწარებულ ადამიანებს…

გუნებიერი ქალბატონია თამარი, გულისხმისმყოფელი კაცია გია… — გაუბედურებული, შვილის უეცარი გარდაცვალებით გაცამტვერებული ცოლ-ქმარი, დედა და მამა!.. ნამდვილად არ იმსახურებდნენ ასეთ განსაცდელს, მაგრამ ვინ ჩასწვდომია განგების ჯერჩინებას, ჩვენ რომ ჩავსწვდეთ!.. ყომრალ და ცადაღრუბლულ ადამიანებს ეძნელებათ ამოდენა ტკივილის გათავისება, თორემ ეგეთ ჩვილგულიანთ — უთუოდ გაუჭირდებათ, თუმცა, როგორც წმინდა მამები ბრძანებენ: „ღმერთს ჩაბარებული და უფალთან მყოფნი — ყველაფრისგან დაცულნი და გაციკროვნებულნი არიანო!“

მაგრამ ჩვენ ამ წუთისოფლისა გვესმის და აქ გვინდა ჩვენი საყვარელი ადამიანების ცქერით ტკბობა და მათი სიყვარულის გაჩვენება!.. ვერ ველევით საყვარელ პიროვნებებს, მით უფრო, უმცროსთ!..

ლადო გულორდავა 33 წლის ვაჟკაცი, განათლებული, პროფესიონალი წყალბურთელი… აღნაგი, უსიმპათიურესი… საჯიშე ქართველი!.. წავიდა მოულოდნელად, თვალუსწრაფესად და დატოვა გონუსწორო ტკივილი და საწუხარი!..

ქალბატონი თამარისა და ბატონი გიას ჩაუწვდომელ გულში გრიგალეთად, თოვლეთად და ყინულეთად ქცეულ სამყაროში, ალბათ, იმდენად გაარაფრებულია ყველაფერი, ანალოგიის მოტანა გაგიჭირდება ადამიანს!.. (იქნებ, ჯერაც ვერ გაუცნობიერებიათ რეალობა არსებული ტკივილისა, ვინძლო, ბურანში არიან ჯერაც?!).

ღმერთო დიდებულო, ყველა მშობელი დაიფარე მსგავსი უბედურებისგან… ასეთ ტრაგედიას უთუოდ ატყვია ისეთი პირველადობის ნიშანი, რომელიც სინამდვილეს სცდება და ჭირისუფლის ინდივიდუალური განცდით სხვა სივრცეში გადადის, სადაც მხოლოდ „ღვთივგათვალულთ“ ძალუძთ შენაბიჯება…

ჩვენ, შვილის დამკარგავი, მძაფრი სულიერი და ხორციელი ტრაგედიით აღვსილი ალმასგირ კიბულანის ქვეყანა ვართ, კაც და არზაყან ზვამბაიების გონუსაზღვრო მამაშვილური დამოკიდებულების სამყაროს ხალხი, ვისთვისაც მშობლიური სიყვარული უფლის სიყვარულთანაა გაიგივებული!..

მთელი ჩვენი კულტურა სიცოცხლისა და სიკვდილის „ადამიანური ფილოსოფიის“ ანარეკლია, პოეზიითა და პოლიფონიური სიმაღლეებით მოსევადებული.

მეგრელი უმღერის შვილს, თავის მახას: „მახა, მა სქანო სანთელი ვორდა, ხატიშ წოხოლე ონდღულაფარი, მახა, მა სქანო კირიბი ვორდა, ირ გაჭირებაშ გალუაფარი…“ ანუ (მახა, მე შენთვის სანთელი ვიყო ხატისწინ ლოცვად ასანთები და მახა, მე შენთვის ბატკანი ვიყო შენს სანაცვალოდ შესაწირავი.) განუსაზღვრელია სიყვარული ესე…

გონმიუწვდომია საწუხარიც თანმდევი…

ვუსამძიმრებ ყველას, გოგას — უფროს ძმას, მთელ მის ოჯახს, ლევანს (ბახურას) — უმცროს ძმას და ყველას, ყველას და ყველას, ვისთვისაც ეს ტრაგედია ცრემლისა და ტკივილის მომგვრელია!

უფალო, ღვთისმშობელო მარიამ, შეივედრეთ ლადო გულორდავას სული და განუმზადეთ მას სასუფეველი ცათა — წმინდა და უანკარესი!

ამინ!

მწუხარებითა და თანაგრძნობით,

**ლაშა გვასალია**

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— რა შემთხვევაში შეიძლება აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 64. პატიმრობა

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენება დასაშვებია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

ა) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;

ბ) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

გ) მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

2. თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანი ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. თუ აღნიშნულ ვადაში წინასასამართლო სხდომა ვერ ჩატარდა, ის ტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

3. თუ არასრულწლოვან ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება.

4. არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

* * *

**— როგორია გამოსაცდელი ვადის საკითხი არასაჯარო, ანუ კერძო საწარმოებში?**

— საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს შრომის კოდექსის”მე- 9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არა უმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით; სხვა შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად.

მე-2 ნაწილი: დამსაქმებელს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

მე-3 ნაწილი: გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაზე არ

ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა /რაც გულისხმობს შემდეგს: შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება/, თუ გამოსაცდელი

ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამოსაცდელი

ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა

ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

* * *

**— რა შემთხვევაში აქვს ახლად მიღებულ სისხლის სამართლის კანონს უკუძალა?**

თქვენთვის საინტერესო საკითხს უპასუხებს სისხლის სამართლის კოდექსის მე- 3 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

— მუხლი 3. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

1. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

2. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.

3. თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.

* * *

**— ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. ქმრის ოჯახმა ბავშვი წაართვა და ნახვის საშუალებას არ აძლევს. როგორ მოვიქცეთ?**

— მიმართეთ სასამართლოს და სარჩელით მოითხოვეთ, რომ ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს თქვენი საცხოვრებელი მისამართი. სანამ ეს მოხდება, თქვენ შეგიძლიათ, ასევე, მიმართოთ განცხადებით სასამართლოს, განგისაზღვროთ ბავშვის ნახვის დღეები და საათები.

# ისრაელის აგენტები ჰოლივუდში

## მილიარდერი კინოპროდიუსერი არნონ მილჩენი ისრაელის დაზვერვისთვის მუშაობდა და ჯაშუშურ ოპერაციებში მსახიობებსა და რეჟისორებსაც ითრევდა



ცნობილი ფილმების „მებრძოლთა კლუბის“, „ლამაზმანისა“ და „ერთხელ ამერიკაში“ პროდიუსერმა აღიარა, რომ წლების განმავლობაში ისრაელის დაზვერვისთვის მუშაობდა, ისრაელის ბირთვული პროგრამისთვის უმაღლეს ტექნოლოგიებს ყიდულობდა და საიდუმლო დავალებების შესასრულებლად ჰოლივუდის სხვა ვარსკვლავებს და რეჟისორებსაც იყენებდა.

ისრაელში დაბადებული 73 წლის ჰოლივუდის პროდიუსერმა არნონ მილჩენმა, ისრაელის ტელეარხთან Channel-2-თან საუბრისას აღიარა, რომ მის შესახებ გავრცელებული ჭორები, თითქოს იგი დიდი ხნის განმავლობაში ისრაელის სახელმწიფოს დაზვერვის სამსახურებთან თანამშრომლობდა, საფუძველს მოკლებული არ არის.

როგორც Associated Press-ი აცხადებს, მსოფლიოში სახელგანთქმული პროდიუსერის ორმაგი ცხოვრების შესახებ მრავალი წლის განმავლობაში ლაპარაკობდნენ.

როგორც ჩანს, მილჩენმა გადაწყვიტა, რომ მას დასაკარგი უკვე აღარაფერი აქვს და ჟურნალისტებს უამბო იმის შესახებ, რომ წლების განმავლობაში საიდუმლოდ მუშაობდა ისრაელისთვის, კერძოდ, მონაწილეობას იღებდა ისრაელის ბირთვული პროგრამისთვის უმაღლესი ტექნოლოგიების შეძენაში.

„მე ამას საკუთარი ქვეყნისთვის ვაკეთებდი და ამით ვამაყობ“,– განაცხადა მხცოვანმა მილიარდერმა იმ გადაცემის წამყვანთან, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებას ეძღვნებოდა.

არნონ მილჩენი თელ-ავივის მახლობლად დაიბადა. სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტსა და ლონდონის ეკონომიკის სკოლაში, დიდ იმედებს იძლეოდა, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელი. არნონი გასული საუკუნის 60-იან წლებში ამერიკაში გადავიდა, სადაც წარმატებული მეწარმე გახდა. მუშაობდა მამის კომპანიაში, რომელიც ქიმიურ სასუქებს აწარმოებდა და გაიცნო ისრაელელი პოლიტიკოსი შიმონ პერესი (რომელიც მაშინ თავდაცვის მინისტრი იყო და შემდგომ ისრაელის პრეზიდენტი გახდა). პერესი, რომლის პოლიტიკური კარიერა 70 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, იმ მომენტში თელ-ავივის ბირთვული პროგრამის განვითარებაზე მუშაობდა, კერძოდ, ისრაელის ქალაქ დიმონის მახლობლად ატომურ რეაქტორს აშენებდა.

მაშინ მილჩენმა დაიწყო ისრაელის სამეცნიერო კავშირების ბიუროსთან თანამშრომლობა (რომელიც 1987 წელს დაიშალა) და ისრაელის ბირთვული პროგრამისთვის აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების მოპოვებაზე მუშაობდა.

„იცით, როგორი ამაღელვებელია, როცა შენ ჯერ კიდევ 20 წლისა ხარ და შენმა ქვეყანამ უფლება მოგცა, ჯეიმს ბონდი გახდე?!“ – იცინის ის.

მილჩენმა სხვადასხვა ქვეყანაში რამდენიმე ათეული კომპანია



დააარსა, გახსნა საბანკო ანგარიშები, რომლებსაც თელ-ავივი იყენებდა. საიდუმლო მოღვაწეობის პერიოდში იგი 30 ასეთ კომპანიას ხელმძღვანელობდა, რომლებიც 17 ქვეყანაში იყო განთავსებული.

„ჰოლივუდელმა პროდიუსერმა აღიარა, რომ ისრაელის სასარგებლოდ ჯაშუშობდა“: ამ კომპანიების საშუალებით იგი ისრაელისთვის იძენდა შეიარაღებასა და სხვა სახის აღჭურვილობას. კერძოდ, იგი დებდა მრავალმილიონიან გარიგებებს ვერტმფრენებისა და საბრძოლო რაკეტების შეძენაზე. ამასთან, მილჩენი იეწმუნება, რომ ამ გარიგებებიდან იგი შემოსავალს არ იღებდა (ამ დროს მისი კომპანიების მოგება 60 პროცენტსაც კი აღწევდა). მთელ ფულს კი ისრაელის ხელისუფლებას აძლევდა.

გარდა ამისა, მილჩენმა წამყვანს მოუყვა, როგორ დაარწმუნა გერმანელი ინჟინერი მისთვის გადაეცა ბირთვული რეაქტორის სქემები. მან ასევე განაცხადა, რომ თავის ჰოლივუდურ კავშირებს იყენებდა, რათა სამხრეთ-აფრიკულ რეჟიმს დახმარებოდა სართაშორისო არენაზე საკუთარი იმიჯის გამოსწორებაში ისრაელისთვის ურანის გადაცემის სანაცვლოდ, რადგან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აპარტეიდის პოლიტიკას ატარებდა.

ლოს-ანჟელესში გადასვლის შემდეგ, მეწარმემ ჯოზეფ პატრიკ გრეისთან ერთად შექმნა კინოკომპანია New Regency Enterprises და 120-ზე მეტი ფილმი გადაიღო.

მილჩენი ისეთ რეჟისორებთან მუშაობდა, როგორიც არიან მარტინ სკორსეზე, რომან პოლანსკი, სერჯიო ლეონე, ოლივერ სთოუნი, ტერი ჰილიამი...

„როცა მე ჰოლივუდში ჩამოვედი, გადავწყვიტე, საკუთარი თავი მთლიანად მიმეძღვნა იმითვის, რაზეც ვოცნებობდი – გადამეღო კინო“,– იხსენებს პროდიუსერი და დაამატა: „მაგრამ ზოგჯერ იძულებული ვიყავი, სხვა საქმეც მეკეთებინა“...

ამგვარად, მიუხედავად ჰოლივუდში მიღწეული დიდი წარმატებებისა, იგი აგრძელებდა ისრაელის ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კავშირს და „სამშობლოს საკეთილდღეოდ მუშაობას“. ზოგიერთი დავალების შესრულებაში იგი თავის ჰილივუდელ კოლეგებსაც რთავდა.

მათ რიცხვში, ვისაც არაერთხელ შეუსრულებია მისი დავალება, იყო ამერიკელი რეჟისორი სიდნი პოლაკი, რომელიც 2008 წელს გარდაიცვალა.

მილჩენის სიტყვებით, პოლაკი ისრაელის მთავრობის ზოგიერთი დავალების საქმის კურსში იყო და ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან მონაწილეობდა თელ-ავივისთვის იარაღისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობის შეძენაში. მილჩენმა განმარტა, რომ არ უნდოდა სიდნის შეშინება, ის ხომ ამერიკელი იყო... „მან ბევრჯერ მითხრა უარი, მაგრამ არაერთხელ შეასრულა ჩემი დავალებაც“,– ამბობს პროდიუსერი.

ჰოლივუდში მის ნამდვილ მეგობრად იქცა მსახიობი და რეჟისორი რობერტ დე ნირო. „მე გამიგონია მილჩენის კავშირის შესახებ ისრაელის სპეცსამსახურებთან, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ეს სიმართლეა,– იხსენებს ახლა დე ნირო მილჩენთან თავის საუბარს, რომელიც ჯერ კიდევ 1970-იან წლებში შედგა.– ერთხელ მე ვკითხე მას ამის შესახებ, რაზეც მან მიპასუხა, რომ ის ისრაელში დაიბადა და საკუთარი ქვეყნისთვის ამას გააკეთებდა“.

მილჩენის ჰოლივუდელი კოლეგებისა და მეგობრების თქმით, ჭორებმა მისი საიდუმლო მოღვაწეობის შესახებ კინოს ინდუსტრიაში მის რეპუტაციას ვერაფერი დააკლეს.

„ჰოლივუდი ძალიან „ებრაული“ ადგილია, ისრაელის მიმართ ყველა კეთილგანწყობილია. ბევრი აღფრთოვანებულიც კი იყო მილჩენით. ზოგიერთს შეიძლება, შეშინებოდა კიდეც, მაგრამ ამას ვერ ასცდები“, – თქვა მედიამაგნატმა რუპერტ მერდოკმა, რომელიც მიწვეული იყო ჯაშუში-პროდიუსერის არნონ მილჩენის ორმაგი ცხოვრების შესახებ სატელევიზიო გადაცემის ჩაწერაზე.

რამდენიმე ხნის წინ გამოვიდა მეირე დორონისა და იოსეფ ჰელმანის ბიოგრაფიული წიგნი სათაურით: „საიდუმლოდ: საიდუმლო აგენტ არნონ მილჩენის ცხოვრება, რომელიც ჰოლივუდელი მაგნატი გახდა“. წიგნის ავტორებმა შეაგროვეს ყველა ის ჭორი, რომელიც პროდიუსერს მთელი ცხოვრების მანძილზე სდევდა თან. წიგნის გამოსვლამდე მილჩენი კატეგორიულად უარყოფდა თავის კავშირს ისრაელის დაზვერვასთან.

არნონ მილჩენი, რომელიც ცნობილი გახდა ისეთი ფილმების წყალობით, როგორიცაა: „მებრძოლთა კლუბი“, „ლამაზმანი“, „მკვლელებად დაბადებულები“, „ერთხელ ამერიკაში“, „შეტაკება“, „ლოს-ანჟელესის საიდუმლოებები“, „ეშმაკის ადვოკატი“, „შადრევანი“, „ნოე“, კვლავ აგრძელებს ახალ ფილმებზე მუშაობას...

ამჟამად არნონ მიტჩელი არის მრავალპროფილიანი კომპანიის მეპატრონე და კომპანია „პუმას“ მაჟორიტარი მფლობელი. აქვს საკუთარი ტელევიზიების ქსელი და ფლობს ისრაელის ტელევიზიების კონტენტს ამერიკასა და კანადაში. აქვს შვიდი სახლი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და Forbes-ის მიხედვით ისრაელის ყველაზე მდიდარ ადამიანებს შორის მეოთხე ადგილზეა...

**ბელა გველესიანი**
568 90 8122



**ცნობილ ოპერატორსა და კინოდოკუმენტალისტს, ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს, ბატონ**

**რევაზ მახათაძეს**

**ვულოცავთ დაბადების დღეს.**

**მრავალ ბედნიერ დაბადების დღეებს დაესწარით, ბატონო რეზო, თქვენ საყვარელ ადამიანებთან ერთად.**

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია**

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com